ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი - გვანცა გერმანიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გაგა გაბრიჩიძე

თბილისი

2022

შესავალი

თავი 1

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შინაარსი

1.1 ძირითადი სისტემური ცნებები და განმარტებები
1.2 მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება
1.3 მართლმსაჯულების კარგი ხარისხი

თავი 2

მართლმსაჯულებაზე წვდომისთვის საჭირო ორგანოებისა და სამართლებრივი რეგულირების არსებობა

2.1 სასამართლო ხელმისაწვდომობა

2.2 ხელმისაწვდომობა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ და საგამოძიებო ორგანოებზე

2.3 ხელმისაწვდომობა სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სერვისებზე

თავი 3

გამოწვევები ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გზაზე

3.1 გენდერული ხარვეზები მართლმსაჯულების განხორციელებაში

3.2 სტერეოტიპებისა და მეორეული ვიქტიმიზაციის გავლენით წარმოქმნილი დამატებითი ბარიერები ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობაში

3.2.1 სტერეოტიპებით გამოწვეული მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია

3.2.2 საერთაშორისო ვალდებულებები სტერეოტიპების შესახებ

3.3 მოძალადის დაუსჯელობა და ქმედების არასწორი კვალიფიკაცია როგორც მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე უარის თქმა

თავი 4

დაცვის ეფექტიანი საშუალებებით უზრუნველყოფა და კანონის აღსრულებადობა, როგორც ქალთა მიერ ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის გარანტია

4.1 დაცვის ეფექტიანი საშუალებები

4.2 მართლმსაჯულების აღსრულების საკითხები

დასკვნა

გამოყენებული აკრონიმები

CEDAW: ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია

UNDP: გაეროს განვითარების პროგრამა

ECHR: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

HUDOC: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დოკუმენტთა ბაზა

CRPD: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

OECD: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია

ECMI: ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი

OHRCHR: გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი

შესავალი

საქართველოში ქალთა თანასწორუფლებიანობაზე მსჯელობა და ქალთა აქტიური სოციალური საქმიანობა სათავეს მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს იმ დროისათვის ქალებმა საზოგადოდ თუ საქვეყნოდ აქტუალურ საკითხებზე საჯარო დისკუსიებში საკუთრების უფლებისა და განათლების უფლებით უზრუნველყოფაზე აზრის გამოხატვა ხმამაღლა დაიწყეს. მოგვიანებით, აქცენტი ქალთა პოლიტიკურ მოძრაობებზე გაკეთდა და 1991 წლის 9 აპრილის შემგომ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების კვალდაკვალ, წინა პლანზე ქალთა უფლებების დამცველი ნორმების დეკლარირების მნიშვნელობამ წამოიწია. შედეგად, საქართველო 1990-იანი წლებიდანვე შეუერთდა შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს. 1994 წლის 25 ნოემბრიდან კი ძალაში შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ,,ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'', რომელიც აღიარებს საზოგადოებასა და ოჯახში ადამიანის უფლებების კუთხით ქალთა და კაცთა თანასწორობას. დღეს, XXI საუკუნეში ,,მოძველებულია'' პრინციპებისა და იდეების დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე მსჯელობა, იმდენად, რამდენადაც თანასწორობა, როგორც ჩარჩო პრინციპი საერთაშორისო კანონმდებლობის ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადენს და ადამიანის უფლებების შესახებ ყველა ძირითადი ხელშეკრულება, როგორც უფლების სარგებლობის, ისე ცალკეული დეკლარირებული ნორმების მხრივ, შეიცავს სქესის ან გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის პირდაპირ და მკაფიოდ გამოხატულ აკრძალვას საზოგადოების ყველა სფეროში. აღნიშნული ნორმები და პრინციპები კი თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს ეროვნულ კონსტიტუციებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ამჟამად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უმეტესი ნაწილი შემუშავებულია-1940-იანი წლების ბოლოს, რომელიც სათავეს იღებს 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და გრძელდება 2015 წელს მიღებული ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) N33 რეკომენდაციით მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ. სწორედ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის გარანტია არის ერთ-ერთი იმ პრიორიტეტული თემებიდან, რომელსაც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია (2018-2023წწ.) ითვალისწინებს.

საერთაშორისო საზოგადოება დღეს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეუფერხებელ რეალიზაციას უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას. სახელმწიფოთა

ვალდებულებაა უზრუნველყონ ქალთა უფლებების რეალიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში და უფლებების არსებობის შესახებ ქალებს ჰქონდეთ ცოდნა, შეძლონ მისი გაცნობიერება და სახელმწიფომ ყველა ზომა იხმაროს, რათა უფლების გამოყენება ხელმისაწვდომი იყოს ყველგან და ყოველთვის.

აღნიშნული ნაშრომის მთავარი ფოკუსი არის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალთათვის. ნაშრომი უზრუნველყოფს ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტების მიმოხილვას, რომელიც ეხება ქალის არსებითი უფლებების დაცვასა და უფრო მჭიდროდ_მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის სისტემების შესაბამისად. გარდა ამისა, საკითხი შეეხება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტებს, მნიშვნელოვან ბარიერებსა და უნიკალურ გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან მართლმსაჯულების მაძიებელი ქალები უფლების დაცვისას. ქალებისთვის უფრო რთულია მოიპოვონ წვდომა ინსტიტუციებზე სადაც მოხდება მათი გარანტირებული უფლებების დაცვა, უფრო რთულია მიიღონ შეუზღუდავი ინფორმაცია, დადგეს სამართლიანი, ურთიერთ-თანასწორობაზე დამყარებული შედეგი განცხადებებსა და საჩივრებზე. სამართალწარმოების განმახორციელებელი სისტემების რეფორმისა და განმტკიცების პროცესის მიმართ მზარდი ინტერესისა და ჩართულობის კონტექსტში, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა მოქალაქეთა მიერ მართლმსაჯულების განმახორციელებელ ინსტიტუტებზე წვდომა, რათა მათ თავად შეძლონ აღდგენა დარღვეულ უფლებაში, მიიღონ სამართლებრივი დაკმაყოფილება და გადაჭრან წარმოშობილი კონფლიქტები.

ზოგადად, მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერები არ მოიცავს მხოლოდ გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ნაშრომი ემყარება იდეას, ხაზს უსვამს და ასაბუთებს, რომ ეს ფაქტორები ქალებზე უფრო ახდენენ გავლენას, ვიდრე მამაკაცებზე. იმ საერთო ბარიერებთან ერთად, რომლებიც მართლმსაჯულებაზე წვდომისას ზოგად დაბრკოლებებს წარმოადგენს და შესაძლოა მათი მოქმედება სქესის ნიშნით არ იცვლებოდეს, დისკრიმინაციული მიდგომები, ინსტიტუციური ბარიერები, სოციალურად მწვავე საკითხები და საზოგადოებრივი სტიგმა წარმოადენს გენდერულად მგრძნობიარე გარემოებების ერთობლიობას, რომელიც ამწვავებს სირთულეებს და ხელს უშლის ქალებს, როგორც საზოგადოების უფრო მეტად მოწყვლად ჯგუფს,მართლმსაჯულების ძიებაში.

თავი 1

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის შინაარსი

1.1 ძირითადი სისტემური ცნებები და განმარტებები

ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მისთვის მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების საშუალებით.[1] ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.[2] საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებულია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტი, ამასთან, საკანონმდებლო აქტებში გაწერილია შესაბამისი საპროცესო გარანტიები, რომლებიც იქმნებოდა და საზოგადოებასთან ერთად ვითარდებოდა მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის იდეით. თუმცა თითოეული ამ გარანტიის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია რამდენიმე აქტორზე: 1. კანონმდებელზე, რომლის მუდმივი ამოცანაა კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების ნამდვილი არსის, სულისკვეთების ერთგულებით შექმნას, განავითაროს სამართლიანი სასამართლოს უფლებით/მისი თითოეული კომპონენტით რეალურად და ეფექტიანად სარგებლობისთვის სათანადო და საკმარისი წესები, პროცედურები. 2. საკონსტიტუციო სასამართლოზე, რომელმაც კონსტიტუციის რელევანტური ნორმების ინტერპრეტაციისას უნდა გააჩინოს ქმედითი და პრაგმატული შესაძლებლობები სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველაზე სანდო ინსტრუმენტად ქცევისთვის თავისუფლების სამსახურში. 3. საერთო სასამართლოებზე, რომლებმაც პრაქტიკულად ყველა/თითოეული საქმის გადაწყვეტისას უნდა შექმნან სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალური შინაარსი. იმის მიხედვით, როგორ გაიაზრებს თითოეული მოქმედი პირი ამ პროცესში საკუთარ როლს, ქართული სასამართლოც და სამართალიც სწორედ ისეთი იქნება.[3]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა და ხელმისაწვდომობა სხვა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე სხვადასხვა ცნებებია და არ გულისხმობს საქმის მხოლოდ სასამართლოს მიერ განხილვას. თუმცა, მნიშვნელოვანია, ტერმინ

[1] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 8.
[2] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.
[3] ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021, 417.

„სასამართლოს“ განმარტება სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში საკითხის განხილვის მიზნებისთვის. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტებზე მსჯელობისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო შექმნილი უნდა იყოს კანონით (უშუალოდ კონსტიტუციით ან/და კანონით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს). მიზანი არის, თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების სისტემის მოწყობის აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციის საგნად ქცევა. ამ საკითხის მოწესრიგება შეიძლება და უნდა ხდებოდეს მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე.[4] ორგანოს, რომელიც არ არის შექმნილი „კანონის შესაბამისად“, არ აქვს ლეგიტიმაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა განიხილოს დავები/ცალკეული საჩივრები.[5]

თემის ირგვლივ, მართლმსაჯულებაზე წვდომა არ იქნება განმარტებული სამართლიანი სასამართლო უფლებისთვის ,,მართლმსაჯულების განმახორციელბელი ორგანოს'' ვიწრო განმარტების თანახმად. ნაშრომში სასამართლოსთან ერთად, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ცნება ,,ერთი ქოლგის'' პრინციპით, აერთიანებს იმ ადმინისტრაციული ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომელიც, მათი საქმიანობიდან გამომდინარე ჩართულნი არიან გამოძიებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელყოფა ხშირად სწორედ სასამართლომდე მისასვლელ გზაზე ხორციელდება და საკითხის სრულად განხილვის მიზნებისთვის, შეუძლებელია მხოლოდ სასამართლოში საქმისწარმოების განხილვით შემოვსაზღვროთ და ყურადღების მიღმა დარჩეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მატერიალურ-სამართლებრივი და პოზიტიური ვალდებულებები. შესაბამისად, წვდომა მართლმსაჯულებაზე გულისხმობს, არა მხოლოდ კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, არამედ უფლებების დაცვის სამართლებრივ გზებს ფართო გაგებით.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გულისხმობს ადამიანთა შესაძლებლობას, მიაღწიონ სამართლებრივი პრობლემების სამართლიან გადაწყვეტას და განახორციელონ თავიანთი უფლებები, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად.[6]

---

[4] Richert v. Poland, app. №54809/07, (ECtHR, 25.10.2011), §42.

[5] Lavents v. Latvia, app. №58442/00, (ECtHR, 28.11.2002), §144; Kontalexis v. Greece, app. №29321/13, (ECtHR, 06.09.2018).

[6] Legal Needs Surveys and Access to Justice, Open Society Foundations, OECD Publishing, 2019, 24.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი დაცვა მსოფლიო საზოგადოების პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც სჭირდება გარანტიათა მწყობრი სისტემა. გარანტიები არის პირობების, საშუალებებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების აღმოჩენის, შეძენისა და რეალიზაციის უნარს თანაბარი სამართლებრივი შესაძლებლობებით. [7]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება ერთადერთია იმ უფლებათა შორის, რომელიც არა მხოლოდ თავად არის დაცვის ღირსი უფლებრივი სიკეთე, არამედ სწორედ მისი საშუალებით ხდება სხვა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზება. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს[8]“. შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება განისაზღვრება, როგორც შესაძლებლობა, რომ ადამიანებმა ეძიონ და მიაღწიონ დარღვეული უფლების აღდგენას ფორმალური და არაფორმალური ორგანოების საშუალებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.[9]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ცნების ერთ-ერთი ელემენტია ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამართლებრივი კონსულტაცია-წარმომადგენლობა. ხელმისაწვდომობის ელემენტებში ასევე მოიაზრება დროული და ეფექტიანი წესები, რომელსაც უნდა იყენებდნენ მართლმსაჯულების სფეროში დასაქმებული ადამიანები, ვისი ,,ხელითაც'' ხორციელდება სამართალი. საჭიროა გავაანალიზოთ, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი იუსტიციის სისტემების ეფექტიანობა არ გულისხმობს მხოლოდ თავად სისტემის ფუნქციონირების წესების საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებას, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მოიცავს სამართლებრივ სისტემებთან ინდივიდთა ურთიერთობას, მასში ჩართვას, და მის გამოყენებას. ხელმისაწვდომობის დეფინიცია, გარდა სამართლებრივი

---

[7] ლობჟანიძე გ., ადამიანის უფლებათა სამართალი, გამომცემელი: ინოვაცია, თბილისი, 2005, 128.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

[9] იხ. UNDP (2005).

გარანტიებისა, თავის თავში გულისხმობს მგრძნობიარე მიდგომების ერთობლიობას, რომელიც საზოგადოების წევრთა რეალურ საჭიროებებზეა მორგებული და აძლევს მათ შესაძლებლობას სამართლებრივი მექანიზმები საკუთარი უფლებების დასაცავად რეალურად და ეფექტიანად გამოიყენოს.

ხელმისაწვდომობის უფლების ფართო გაგება მოიცავს სხვადასხვა ვიწრო თავისებურებებს და განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის უფლების გამომყენებელი სუბიექტი და რომელი უფლების დაცვის მიზნით ცდილობს მიაღწიოს სამართლებრივ დაცვას. უფლებების განსხვავებული შინაარსისგან დამოუკიდებლად, მათ აერთიანებთ ერთი თვისება, ისინი პირადი ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ განეკუთვნება კონკრეტულ პიროვნებას და არავის სხვას, ნათესაური კავშირისა და სიახლოვის ხარისხისგან დამოუკიდებლად (თუნდაც მშობელს ან შვილს). უფლებების პერსონიფიცირებული ხასიათი, პირველ რიგში, სწორედ იმას გულისხმობს, რომ ის ეკუთვნის კონკრეტულ, თითოეულ ინდივიდს და, მაშასადამე, არ/ვერ ეკუთვნის სხვას, შესაბამისად, ერთი პირის უფლებით ვერ ისარგებლებს სხვა, ისევე, როგორც კონკრეტული ინდივიდის უფლება ვერ დაერღვევა სხვას. ასეთი შესაძლებლობის დაშვება პირადი უფლების ბუნების საწინააღმდეგოა, ფიტავს მის არსს. უფლებები პერსონალური ხასიათისაა და დაკავშირებულია უშუალოდ მათ მფლობელთა ცნობიერებასთან, აღქმასთან. უფლებების პერსონიფიცირებული ხასიათი ვლინდება მათი სასამართლოში დაცვის ფარგლებითაც და, იმავდროულად, თავად განაპირობებს ასეთ ფარგლებს. სასამართლოს პირები მიმართავენ საკუთარი უფლებების დასაცავად. ასეთი წესრიგის იდეა და მიზანი არის, ერთი მხრივ, ადამიანის უფლების პატივისცემა, თავად გადაწყვიტოს, დგას თუ არა საკუთარი უფლებების/ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის საჭიროების წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ეფექტიანობა, რომელიც მიიღწევა მხოლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღების გზით, და ფუჭი მართლმსაჯულების თავიდან აცილება. ამ მიზნების მიღწევა, სულ მცირე, საეჭვო გახდება (თუ არა შეუძლებელი), თუ ზოგადად დაშვებული იქნება ერთი პირის უფლების დასაცავად სხვა პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა, რადგან მხოლოდ უფლების მატარებელს შეიძლება ჰქონდეს ყველაზე ობიექტური განცდა, აღქმა, შეგრძნება საკუთარი უფლების დარღვევისა (სავარაუდო დარღვევისა), შედეგად, კონკრეტული ზიანის მიღებისა. ასეთი შეგრძნებების არარსებობის პირობებში კი უფლების დაცვის საჭიროებაც არ არსებობს. გარდა ამისა, სწორედ უფლების მატარებელს აქვს ობიექტურად მეტი ინტერესი, მოტივაცია უფლების დასაცავად და, როგორც წესი, მეტი ინფორმაციაც (მტკიცებულებები), რომელიც საკუთარი უფლების დაცვაზე და

სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე პოტენციურად მოახდენს გავლენას[10]. პირადი უფლებების დაცვის მაძიებელთა უფლებების პირადულობას განაპირობებს საზოგადოებაში სუბიექტის როლი და სამართლებრივი საჭიროებები, რომლებიც მისი დარღვეული უფლების აღდგენისკენა მიმართული.

ამ მხრივ, საყურადღებოა ხელმისაწვდომობის გაგება მისი ვიწრო ასპექტით, კერძოდ - პირადი უფლების რეალიზების ბარიერები და გამოწვევები, რომელსაც აწყდებიან მართლმსაჯულების მაძიებელი ქალები. მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობა, როგორც კონცეფცია, ერგება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაოდ მიღებულ სქემატურ ჩარჩოებს, რომელშიც, a priori, ხელმისაწვდომობის როგორც უფლების არსებობისა და რეალიზებისთვის აუცილებელი კომპონენტები მოიაზრება. იმ განსხვავებით, რომ თითოეული კომპონენტი აღქმული და გააზრებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შეფასდეს, თუ რამდენად ერგება ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და რამდენად ზემოქმედებს მასზე.

მნიშნელოვანი საკითხია, თუ რა სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში ხდება ქალთა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა და როგორია მისი გამოყენების გზები. ერთი მხრივ, არსებობს თუ არა მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო, და მეორეს მხრივ, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება კანონის დაცვა.

კანონის დაცვის ჭრილში, ფასდაუდებელი მონაპოვარია დღეს აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად შემუშავებული საერთაშორისო მექანიზმები, მათში განუზომელი როლი აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო მექანიზმები აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ექსკლუზიურ და უმნიშვნელოვანეს ღირებულებას. ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტების გათვალისწინებით ხდება მართლმსაჯულების ძირითადი ფორმების განხორციელება. ინტერაქტიული მიდგომა, როგორც ჩანს, საუკეთესოდ შეეფერება ურთიერთობების რთულ

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23,24.

ჩარჩოებს, რომლებიც ახასიათებს ღრმა სამართლებრივი პლურალიზმის დღევანდელ სისტემებს.[11]

მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, ახალი კონცეფცია არ არის, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტებზე მსჯელობა მხოლოდ 2015 წელს დაიწყო, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ[12] მიიღო ზოგადი რეკომენდაცია N33 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ, რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დამოუკიდებელი ექსპერტების ორგანო, რომელიც აკონტროლებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულებას.[13] მნიშვნელოვანია იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციას, რომლის მიხედვითაც ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე გლობალური საზრუნავია და ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა დისკრიმინაციის ამ ფორმის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ.[14] N33 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება აუცილებელია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით დაცული ყველა უფლების რეალიზაციისთვის. ეს არის კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის ფუნდამენტური ელემენტი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან, სამართლიანობასა და სანდოობასთან, დაუსჯელობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან, სასამართლო სისტემაში ქალთა თანაბარ მონაწილეობასთან და კანონის განხორციელების სხვა მექანიზმებთან ერთად. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება მრავალგანზომილებიანია. ის მოიცავს დასაბუთებულობას, ხელმისაწვდომობას, ხელმისაწვდომობის კარგ ხარისხს, მსხვერპლთა დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას და მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულებას. [15]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ზოგადი რეკომენდაცია განსაზღვრავს ექვს ურთიერთდაკავშირებულ და

---

[11] Facchi, Alessandra, Traditional Local Justice, Women's Rights, and the Rule of Law: A Pluralistic Framework (June 2019). Ratio Juris, Vol. 32, 210, 2019, 210 http://dx.doi.org/10.1111/raju.12235

[12] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. << https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html >>

[13] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. << https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CEDAW/Pages/Introduction.aspx >>

[14] CEDAW General Recommendation No. 33 on women's access to justice.

[15] იქვე.

ფუნდამენტურ ელემენტს, რომლებიც ქმნიან ერთიან ცნებას და ამასთან, ხაზს უსვამენ საკითხის კომპლექსურობას. მართალია არ არსებობს კონვენციით დადგენილი ელემენტების ზუსტი დასახელებები და აღიარებული განმარტებები, თუმცა საკითხთან მჭიდრო კავშირში, მათ ერთგვარი მნიშვნელობა აქვს და ემსახურება მთავარ მიზანს_აღქმული იქნეს ის კომპონენტები, რასაც კონვენცია და მისი ზოგადი რეკომენდაციები ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უკავშირებს. მართლმსაჯულებაზე თანასწორად წვდომის უზრუნველყოფა პრიორიტეტული საკითხია, რომელიც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის მიმდინარე სტრატეგიაშია გათვალისწინებული.[16]

სტანდარტები, რომლებიც მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობას უკავშირდება, შემუშავებულია სხვადასხვა სამართლებრივი ბაზის ფარგლებში და ძირითადად თავს იყრის ევროპის საბჭოს ხელშეკრულებებში.

კანონები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური, უნდა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო ჩანაწერები, რომ მართლმსაჯულების სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, სახელმწიფო ორგანოები კი თანასწორად და მგრძნობელობით ეპყრობოდნენ თითოეულ ინდივიდს.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია განისაზღვროს მოსახლეობის და კონკრეტული ჯგუფების სოციალური საჭიროებები და ის სტრუქტურული საკითხები, რომლებიც, შესაძლოა, პრობლემის სათავეც იყოს (სიღარიბე, საშუალო შემოსავალი, უთანასწორობის მაჩვენებელი, ეკონომიკური სტრუქტურა, საცხოვრისის პრობლემა, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა, ურბანიზაცია, მოსახლეობის ჰომოგენურობა/ჰეტეროგენურობა ეთნიკურობის ნიშნით, ეროვნება, რელიგია, ოჯახის სტრუქტურა, განათლების დონე თუ სხვ). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერებთან დაკავშირებით, მრავალი კვლევაა ჩატარებული, ეროვნულ კონტექსტთან დაკავშირებით საკმარისი ინფორმაცია და ერთიანი სურათი აქამდე არ არსებულა. სწორედ ამ ხარვეზის შესავსებად და საქართველოში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხის კვლევისათვის საფუძვლის ჩასაყრელად, შემუშავდა სპეციალური მეთოდოლოგიური ჩარჩო,[17] რომლის საფუძველზეც ყველა შესაბამისი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი

[16] ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/genderequality/gender-equality-strategy#:~:text=The%20focus%20for%20the%20Gender,against%20women%20and%20domestic%20violence&text=Achieve%20a%20balanced%20participation%20of,political%20and%20public%20decision%2Dmaking > [17.02.2022]

[17] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგია, 2021, 2

ფაქტორი გაანალიზდა. მართალია, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერებს შორის მკაცრი მიჯნა არ არსებობს, რადგან ისინი ინტერსექციულია, თუმცა კვლევის შედეგად გაანალიზდა 5 ძირითადი ტიპის ბარიერები: (1) ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები; (2) სამართლებრივი ცნობიერების დონესთან დაკავშირებული ბარიერები; (3) ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები; (4) ფინანსური ბარიერები; და (5) სოციალური და კულტურული ბარიერები.[18]

ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომისას, ბარიერების აღმოსაფხვრელად და უარყოფითი გავლენების შესამცირებლად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომი ორგანოების ანგარიშვალდებულება, აღსრულების მექანიზმების რეალური მუშაობა და მართლმსაჯულების კარგი ხარისხი. აღსრულების მექანიზმების შესახებ ნაშრომის ბოლოს იქნება მსჯელობა, აღნიშნული თავი კი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 33-ე ზოგადი რეკომენდაციით გამოყოფილ ორ ელემენტს - მართლმსაჯულების სისტემების ანგარიშვალდებულებასა და მართლმსაჯულების კარგ ხარისხს შეეხება. სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა, მართლმსაჯულების სისტემებზე ხელმისაწვდომობა, თანასწორობის უფლების განმარტება, სტერეოტიპებით შთაგონებული მიდგომები კანონის განხორციელებაში, გენდერული ბარიერები და მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის კომპონენტები წარმოადგენს ნაშრომის ძირითად მიმართულებას, შესაბამისად ისინი განხილული იქნება ფართოდ, საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

1.2 მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება

მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება არ მიემართება უფლების სასამართლო წესით დაცვის საკითხს პირდაპირი გაგებით. სასამართლო სისტემას ქმნიან ცალკეული მოსამართლეები და მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.[19]

[18] გობრონიძე მ., გერლიანი თ.,პაპუაშვილი ა., მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, თბილისი, 2021, 8

[19] ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7

თუმცა, მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებას ეხება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საჯაროდ გამოცხადების ნაწილში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა, რომ „დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი უზრუნველყოფა ასევე უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ ზედამხედველობას და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი, მათ შორის, მათში არსებული პერსონალური მონაცემებიც. ცალკეულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გარეშე შეუძლებელია, სრულყოფილად შეფასდეს, რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. სწორედ პერსონალური მონაცემების, საქმეში მონაწილე პირების ვინაობის დადგენის შედეგად აქვს საზოგადოებას შესაძლებლობა, რომ ჩამოიყალიბოს რწმენა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების არარსებობის შესახებ“.[20]

მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულება მიმართულია იუსტიციის სისტემის იმ ორგანოებზე, რომლებიც ახორციელებენ გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებებზე. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ, რომ კონვენციის მუხლების.[21] შესაბამისად დადგენილი გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.[22]

---

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 31-33.

[21] მოიაზრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ქალთა კონვენციის 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე და 39-ე მუხლები

[22] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ქალთა კონვენცია მუხლი 55

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობას შემდეგ დანაშაულებზე: ოჯახური დანაშაული ქალთა მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ტრეფიკინგი არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, მოსამსახურეთა გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების წინადადებით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს-საქართველოს შინაგან სამინისტროს აკადემიას, ახორციელებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა საქმიანობის კოორდინაციას, სამინისტროს უფლებამოსილ ქვედანაყოფს მიმართავს წინადადებით საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შესახებ, უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესწავლა-ანალიზს.[23]

მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულების კომპონენტის მიზანი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ორგანოს მიემართება ის. სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების დანიშნულებას წარმოადგენს საზოგადოების და იურიდული პროფესიის ადამიანებისთვის პრაქტიკის გაზიარება, ნორმის პრაქტიკაში გამოყენებადობის აღქმადობა, განმარტებებზე ხელმისაწვდომობა, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გზით მისი სანდოობის გაზრდა. რაც შეეხება სხვა ორგანოებს, მათთან მიმართებით ანგარიშვალდებულების მიზანია უზრუნველყოს მართლმსაჯულების ფუნქციონირების მონიტორინგი. მონიტორინგის განხორციელება არის გარანტი პროცესის გამჭვირვალობის, სისტემის გამართულად ფუნქციონირებისა და ეფექტიანი მუშაობისთვის.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს დანიშნულება არის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგი.

[23] დეპარტამენტის შესახებ https://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti [17.02.2020]

ქალთა მიმართ ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა ეფექტიან გამოძებად ჩატარებას გაჭიანურების გარეშე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროულად მიღებას, აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას.

2018 წელს გაიზარდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციები. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე და აღიჭურვა მნიშვნელოვანი ფუნქციებით, მათ შორის, მოწმის ან დაზარალებულის მონაწილეობით მიმდინარე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე დასწრებისა და ამ მოქმედებების განმავლობაში, მათი ემოციური მხარდაჭერის ფუნქციით. კოორდინატორის ჩართვა პრიორიტეტულად ხდება ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებში, სადაც დაზარალებული ობიექტურად საჭიროებს დახმარებას. კოორდინატორის ჩართვის მიზანია ამ კატეგორიის საქმეებში მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერა და გაძლიერება, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.[24]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, როგორც წესი, პირველი რგოლია ხოლმე რომელსაც ძალადობის, მუქარის, იძულებისა და სხვა დანაშაულთა შემთხვევაში ქალები მიმართავენ. მათი როლის გაანალიზებისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, ისინი აღჭურვილნი და მოწოდებულნი უნდა იყვნენ შესაბამისი ეფექტიანი დაცვა შესთავაზონ დაზარალებულებს.

1.2 მართლმსაჯულების სისტემის კარგი ხარისხი

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნება თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს და თანაბარ შესაძლებლობას მისცემს თითოეულ ადამიანს, მიუხედავად მისი სქესის, სოციალური, ეკონომიკური, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სტატუსისა, ისარგებლოს მართლმსაჯულების სისტემით.

მართლმსაჯულების სისტემის ფუძემდებლურ ღირებულებას წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დაცვა, რომელსაც ადამიანის უფლებების ყველა ძირითადი ხელშეკრულება შეიცავს აკრძალვას სქესის ან გენდერული ნიშნით. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს როგორც ნორმატიულად დადასტურებული

[24] იხ.ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა https://pog.gov.ge/interesting-info/family-violence [17.02.2022]

უფლებებით სარგებლობისას, ისე ცალკე არსებული ნორმის სახით, რომელიც თავად წარმოშობს სახელმწიფო ორგანოთა პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვან ადამიანთა თანასწორობა. მართლმსაჯულებაზე თანასწორად წვდომის უზრუნველყოფა ერთ-ერთია იმ 6 პრიორიტეტული საკითხიდან, რომელსაც ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია[25] ითვალისწინებს. სტანდარტები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობას, შემუშავებულია სხვადასხვა სამართლებრივი ბაზის ფარგლებში და ძირითადად თავს იყრის ევროპის საბჭოს ხელშეკრულებებში.

კანონები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური, უნდა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო ჩანაწერები, რომ მართლმსაჯულების სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, სახელმწიფო ორგანოები კი თანასწორად და მგრძნობელობით ეპყრობოდნენ თითოეულ ინდივიდს.

მართლმსაჯულების კარგი ხარისხი მოითხოვს, ერთი მხრივ, თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, და მეორეს მხრივ საერთაშორისო პრინციპებისა და ეროვნული საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკაში ეფექტიან, მგრძნობიარე გამოყენებას. სისტემის ყველა კომპონენტი უნდა შეესაბამებოდეს ეფექტიანობის, კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს. სისტემების დანიშნულებაა, საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა, დროულად და ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება გამოსწორების შესაბამისი ღონისძიებების საჭიროებისას.

თავი 2

მართლმსაჯულებაზე ქალთა თანაბარი წვდომისთვის საჭირო ორგანოები და საკითხის სამართლებრივი რეგულირება

წინამდებარე თავში განხილული იქნება ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო აქტებით შემუშავებული მექანიზმები, რომელიც მოიცავს სასამართლოსთვის, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოსთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისთვისა და სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისებთან წვდომის საკითხებსა და მარეგულირებელ კანონმდებლობას. ამასთან, წინამდებარე თავში განხილული იქნება გამოწვევები, არა მითითებულ ორგანოთა ფუნქციონირებიდან და მათთვის კანონით

[25] ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგის ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/genderequality/gender-equality-strategy#:~:text=The%20focus%20for%20the%20Gender,against%20women%20and%20domestic%20violence&text=Achieve%20a%20balanced%20participation%20of,political%20and%20public%20decision%2Dmaking > [17.02.2022]

მინიჭებული უფლებამოსილებების/საქმიანობის განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ ვიწროდ; საკითხი შეეხება ქალთა ხელმისაწვდომობას მათზე, როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურულ წარმონაქმნზე: რა შემთხვევაში აქვს მართლმსაჯულების მაძიებელ ქალს სახელმწიფო ორგანოებისთვის, არასახელმწიფო ორგანოებისთვის მიმართვის უფლება/საშუალება და რა ბარიერები შეიძლება არსებობდეს ფიზიკური ხელმისაწვდომობის განხორციელების გზაზე.

2.1 სასამართლო ხელმისაწვდომობა_ორგანიზაციულ ჭრილში

ადამიანის თავისუფლების და თანასწორობის ურთიერთკავშირზე ნათლად და გარკვევით მიუთითებდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია (მე-14 მუხლი), რომლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია... “. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ამ ნორმაში კანონის წინაშე თანასწორობა მოხსენიებულია ადამიანის თავისუფლებასთან ერთად, რაც მიანიშნებს თანასწორობის მნიშვნელობაზე ადამიანის თავისუფლებისთვის... ადამიანის უფლებები ერთნაირად არის თითოეული ადამიანის კუთვნილება, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი ხელმისაწვდომობა ფართო გაგებით თავისუფლებაზე – უფლებებით სარგებლობაზე, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება“[26]. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე”.[27] ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების სრულად და ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის, აუცილებლია სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსების მოძიება და იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე.

უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა თავის თავში მოიაზრებს ქალთა შეუფერხებელი შესაძლებლობას, ჰქონდეთ წვდომა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებზე და მოითხოვონ მათი CEDAW კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

---

[26] საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4. 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[27] ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, 2018 წ., გვ. 83

ხელმისაწვდომობა, ამ თავის მიზნებისთვის მოიცავს როგორც სასამართლოებისა და კვაზი-სასამართლო ორგანოების არსებობას ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე სოფლად და იმ შორეულ ადგილებში, სადაც ცენტრალური მდებარეობის ტერიტორიული ადგილებთან შედარებით, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო, ისედაც შემცირებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაძნელების მიზეზით.

სასამართლო ორგანოს გენდერულად მგრძნობიარე, გამართული ფუნქციონირება თავისთავად წარმოდგება ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გარანტად. ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთგზის მიუთითა ხელისუფლების ვალდებულებაზე, უზრუნველყოს მართლმსაჯულების სისტემის ადეკვატურობა მართლმსაჯულების ფუნქციის სრულყოფილი განხორციელებისა და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის გარანტირებისათვის. „31-ე მუხლით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობა წარმოადგენს კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების ... დადგენის როგორც საფუძველს, ისე მიზანს. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის 31-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის იმგვარად განსაზღვრა, რომელიც პასუხობს სასამართლოს გზით კონსტიტუციური უფლებების ადეკვატურ დაცვას. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და ამ გზით უფლების დაცვის ეფექტური სამართლებრივი საშუალების მოთხოვნა თანმხვედრი უნდა იყოს სასამართლოს კომპეტენციისა, ადეკვატურად მოახდინოს უფლების დარღვევაზე რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად უფლებით სარგებლობა დადგება საფრთხის ქვეშ. ამიტომ სასამართლო ხელისუფლების .უფლებამოსილება უნდა წარმოადგენდეს 31-ე მუხლის რეალიზაციის ეფექტურ შესაძლებლობას და, იმავდროულად, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის კონსტიტუციურ გარანტიას“.[28] ინსტიტუციურ გარანტიებზე ყურადღების გამახვილებისას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების ფარგლებში განსახორციელებელ ფუნქციებს, რომელთა არსებობა აუცილებელია კონკრეტული უფლებების დასაცავად. სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის სამსახურში საჭირო, ადეკვატური, ეფექტური და საკმარისი ფუნქციების არსებობა არის ამოსავალი სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების განსაზღვრისას. შესაბამისად, როგორ და

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 22

რა მექანიზმებზე დაყრდნობით იქნება ეს ფუნქციები გადანაწილებული ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების საკითხზე მსჯელობისას იმის გათვალისწინებით, რამდენად პასუხობს არსებული სასამართლო სისტემა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს.[29]

2.2 ხელმისაწვდომობა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ და საგამოძიებო ორგანოებზე

ქალთა უფლებების დაცვის ჭრილში, სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოსთან ერთად, უპირობოდ უნდა მოიაზრებოდეს იუსტიციის ის ორგანოები, რომლებსაც ევალებათ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მოხდენა და გამოძიების დაწყება.

საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს პროკურატურა. [30] 2012 წლის 12 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვრა პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულის და ოჯახში ძალადობისთვის. ოჯახური ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა და იძულება. დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან/და ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ხოლო დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი. ოჯახური დანაშაულის საქმეზე დაზარალებულად მიიჩნევა აგრეთვე ოჯახური დანაშაულის შემსწრე ბავშვი, რომელსაც ძალადობის შედეგად განცდილი ფსიქოლოგიური ტრავმის გამო ადგება მორალური ზიანი. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს პირთა წრეს, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახის წევრებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 მაისს, განისაზღვრა პროკურატურის გამომძიებელთა და

---

[29] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 89-90

[30] საქართველოს პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი მუხლი 4

პროკურორთა სპეციალიზაციის წესი სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] (ოჯახში ძალადობა) და 111 (ოჯახური დანაშაული) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განსახორციელებლად, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ასევე, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებზე ხელმისაწვდომობისას, მნიშვნელოვანია რამდენად ადეკვატურად, ეფექტიანად და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას არჩევს სახელმწიფო მოხელე, რომელიც ხვდება მართლმსაჯულების მაძიებელ ქალს. გამომძიებლები და პროკურორები ხშირად ის პირველი ადამიანები აღმოჩნდებიან ხოლმე, ვისთანაც პირველად ხდება კომუნიკაცია ქალთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ, თუკი მსხვერპლმა ქალმა თავად მიმართა საგამოძიებო ორგანოს და განცხადების დაწერის გზით, ან პირადი გასაუბრებისას მიუთითა დარღვევის თაობაზე.

სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების, თანასწორობის იდეისა და კანონიერების მოთხოვნაზე დაყრდნობით უფლებამოსილ პირს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის განხორციელების ვალდებულება აქვს. გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის განმარტებისას, აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამგვარი მიდგომისას გათვალისწინებულია ქალთა და მამაკაცთა საჭიროებები და გამოცდილება, რათა აღმოფხვრილ იქნეს გენდერული უთანასწორობა. აღნიშნული მიდგომა, თავისი შინაარსით მოითხოვს ყურადღების გამახვილებას განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა როლებსა და პასუხისმგებლობებზე კონკრეტულ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ამის საპირისპიროდ გენდერულად ,,ბეცˮ მიდგომად უნდა ჩავთვალოთ, რომ განსხვავებული სქესის ადამიანებს ,,მინიჭებული აქვთˮ საზოგადოებისგან გარკვეული როლები და მისი საჭიროებები განვსაზღვროთ იმის შესაბამისად, არა თუ რას წარმოადენს იგი მართლმსაჯულებისთვის, არამედ რა როლის შემსრულებელს ხედავს მასში საზოგადოება. სამყაროში, სადაც ინდივიდთა არახელსაყრელ პირობებსა და პრივილეგიებს მხოლოდ მათი გენდერი განსაზღვრავს, გენდერულად ,,ბეცი'' მიდგომა წარმოადგენს

მართლმსაჯულების განხორციელების ყველაზე უარეს გზას, რაც საზოგადოებაში უთანასწორო პირების კიდევ უფრო დაუცველ მდგომარეობაში ჩადებას უწყობს ხელს. მოხელეთა მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს გენდერული პერსპექტივები მათ საქმიანობაში, რათა მათ მიერ განხორციელებული ქმედებები არ გახდეს ბარიერი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობისას.

კონვენციით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევებას, ორდერის მოქმედების პირობებში. უშუალო საფრთხის არსებობისას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის ყველაზე ეფექტიანი გზა გახლავთ დაზარალებულისა და დამნაშავის ფიზიკური დისტანცირება. ხშირად ეს მოითხოვს ერთ-ერთის წასვლას ერთობლივი საცხოვრებელიდან, ან მოძალადის მიერ დაზარალებულის საცხოვრებელის გარკვეული პერიოდით დატოვებას. დაზარალებულს ხშირად თან ახლავს ბავშვები; მათ ძალიან ცოტა პირადი ნივთების წაღება შეუძლიათ და, თანაც, განუსაზღვრელი ვადით უწევთ საცხოვრებლის დატოვება, ამიტომ კონვენციის ავტორებმა, ნაცვლად მათი დაჩქარებული წესით გადაყვანისა თავშესაფარში ან სხვა ადგილას, მიიჩნიეს, რომ უმჯობესია დამნაშავე გაიყვანონ საცხოვრებელიდან და დაზარალებულს შინ დარჩენის შესაძლებლობა მისცენ. ამრიგად, ამ დებულების შესაბამისად, სახელისუფლებო ორგანოებს უნდა მიენიჭოთ უფლებამოსილება, რომ უშუალო საფრთხის არსებობისას, ოჯახური ძალადობის ჩამდენ პირს უბრძანონ მსხვერპლის საცხოვრებლის დატოვება ხანგრძლივი პერიოდით, ასევე, აუკრძალონ მასთან კონტაქტი ან მის საცხოვრებელში შესვლა. უშუალო საფრთხე უნდა შეფასდეს შესაბამისი ორგანოების მიერ. კონვენციის ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მხარეებს თვითონ განესაზღვრათ ასეთი ორდერის ვადა, თუმცა მიუთითეს, რომ ეს პერიოდი საკმარისი უნდა იყოს დაზარალებულის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად. ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ასეთი ორდერების ხანგრძლივობა, საშუალოდ, 10 დღიდან 4 კვირამდე მერყეობს, მათი გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე. ავტორებმა გადაწყვიტეს, ასევე მხარე სახელმწიფოების დისკრეციულ უფლებამოსილებაში დაეტოვებინათ კომპეტენტური ორგანოს გამოვლენა და მისთვის ასეთი ორდერების გაცემის უფლებამოსილების მინიჭება, აგრეთვე, სათანადო პროცედურების განსაზღვრა ეროვნული საკანონმდებლო და საკონსტიტუციო სისტემების შესაბამისად. ტერმინი "უშუალო საფრთხე" გულისხმობს ოჯახში ძალადობის ნებისმიერ სიტუაციას, რომლის დროსაც პირისთვის ზიანის მიყენება გარდაუვალია, ან მას ასეთი ზიანი უკვე მიადგა, და სავარაუდოა, მომავალშიც განმეორდეს. ეს დებულება მხარეებისგან მოითხოვს, რომ შესაბამისი ზომების განხორციელებისას პრიორიტეტულობა მიენიჭოს

მსხვერპლის, ან ძალადობის რისკქვეშ მყოფი პირების უსაფრთხოებას. ეს ამ ზომის დამცავ ბუნებაზე მიუთითებს. [31]

საქართველოს, როგორც სტამბულის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოს, საკანონმდებლო დონეზე ჯეროვნად აქვს შესრულებული ოჯახში ძალადობის მყისიერი აღკვეთის, სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების ამ მექანიზმის კანონმდებლობაში გაწერის ვალდებულება. პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ კანონით გათვალისწინებულმა პირმა. ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია: ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოსცეს კანონით დადგენილი წესით გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერი.[32]

შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმი უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე შემაკავებელი ორდერის გამოცემას, ხოლო სისხლისსამართლებრივი მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობის ფაქტი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რა დროსაც ხდება გამოძიების დაწყება.[33] ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელის გაუქმების საკითხს იხილავს სასამართლო,

[31] კომენტარები სტამბულის კონვენციის დებულებებთან მიმართებით, ევროპის საბჭო 76-77, <https://bit.ly/2QbHokk> [10.02.2022]

[32] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" მუხლი 16

[33] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" მუხლი 9

სარჩელის წარდგენის შემთხვევაში. მოძალადის მიერ შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[34]

2017 წლის პირველ ივნისამდე, შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემას კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტს ადგილი ექნებოდა ოჯახის წევრებს შორის. ევროპის საბჭოს ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' კონვენციის საქართველოს მიერ რატიფიცირების შემდგომ სასამართლოსათვის და შემაკავებელი ორდერის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვა შესაძლებელია არა მხოლოდ ოჯახში მომხდარი ძალადობის შემთხვევაში, არამედ ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობის ჩამდენი პირს მსხვერპლთან ოჯახური კავშირი არ აქვს.

,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2017 წლის 1 ივნისიდან ამოქმედებული ცვლილებების თანახმად, კანონის დაცვის სფეროში მოექცა გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლი ქალი, მიუხედავად იმისა, თუ სად ხდება ძალადობა _ საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. ცვლილებები განხორციელდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს მიღებული კონვენციის (ე.წ. სტამბულის კონვენცია) რატიფიკაციის მიზნით. ცვლილებები განაპირობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობამ.[35]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნული ცვლილების კვალდაკვალ, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, მიიჩნია, რომ ქალის მიმართ, მისი მეზობელი ქალის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა, მუქარა და მისი ნების საწინააღმდეგოდ ქუჩაში ადევნება თუ მის საცხოვრებელ სახლში მისვლა წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ძალადობას. მოცემულ შემთხვევაში ძალადობა ხორციელდება გენდერული ნიშნით, რადგან როგორც ირკვევა, მოძალადეს არ გააჩნია რაიმე პირადი კონფლიქტის მიზეზი მსხვერპლთან, მისი აგრესიის ობიექტს წარმოადგენენ ქალები, კონკრეტულად კი დასაქმებული ქალები.

[34] საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' მუხლი 10

[35] „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის #761 კანონის განმარტებითი ბარათი < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142308?> [4.02.2022]

მსხვერპლის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობაც ხორციელდება სწორედ ამ ნიშნით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ექცევა ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის სფეროში და მის მიმართ უნდა განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული დამცავი ღონისძიებები.[36]

2.3 ხელმისაწვდომობა სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სერვისებზე

ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლასა და ქალთა სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობაზე განუზომელია კერძო სექტორისა და მასმედიის როლი.

მასმედია და სატელეკომუნიკაციო საშუალებები წარმოადენს ინფორმაციის გავრცელების გიგანტურ[37] რესურსს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქალებს აძლევს უფლებას, შეიტყონ მათი უფლებების შესახებ, მოითხოვონ თავიანთი უფლებები და მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები. მედია ინდუსტრიის წახალისება გენდერული ტრანსფორმაციული შინაარსის წარმოებაში და თანასწორობის თვითრეგულირების პოლიტიკის შემუშავებაში ხელის შემწყობი ფაქტორია სოლიდარული და სტიგმებისგან გათავისუფლებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის.

სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის სერვისი მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. პირს, რომელსაც არ ჩაუბარებია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და არ გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალება წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში[38], თუმცა, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა ქალთათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო დავის პირველ ინსტანციაში წარმოებისას და ასევე საგამოძიებო ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამის ორგანოებისთვის მიმართვისას.

საქართველოში დაახლოებით 10000[39] არასამთავრობო ორგანიზაციაა. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა, განსაკუთრებით ქალთა

---

[36] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ. N3/3409-19

[37] ადამიანის უფლებების და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო უმრავლესობისთვის ტელევიზიაა (88%) <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7951UNDP_GE_DG_Human_Rights_Survey_2017_geo.pdf> [4.02.2022]

[38] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 440

[39] წყარო: <www.eu4georgia.eu> [16.02.2022]

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავიანთ საქმიანობაში პრიორიტეტულ მიმართულებად დასახეს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის აღმოფხვრა; ამ ჯგუფების საქმიანობამ უზარმაზარი სოციალური და პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინა: დიდი როლი ითამაშა ქალების მიმართ გენდერული ძალადობის ადამიანის უფლებების დარღვევად აღიარებაში და ამ ფენომენთან საბრძოლველად კანონებისა და სხვადასხვა პოლიტიკის მიღებაში.[40] ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები თანასწორუფლებიანი, არაძალადობრივი და აქტიური საზოგადოების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ. მათ მიერ განხორციელებული პროექტები ხშირად საგანმანათლებო სპეციფიკით ხასიათდება და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას, ქალთა გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი როლის გაზრდას ემსახურება. მნიშნელოვანია, რომ სკოლებსა და ეთნიკური უმცირესობების დასახლებები ის სამიზნე ჯგუფებია, სადაც ყველაზე ხშირად საჭიროა უფლებების შემეცნებისა და უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება. ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ "(შემდგომში - სტამბულის კონვენცია) საერთაშორისო და სახელმწიფოებრივ დონეზე აღიარებს სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლსა და ფუნქციებს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში.

სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უპირველესი გარანტიაა. საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე სახელმწიფოთა უმაღლეს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში გაბნეული, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის იდეით გამსჭვალული ნორმები რომ არა, თანასწორობა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებისთვის თვალის ასახვევ, მიმზიდველ, უმოქმედო და ფორმალურ პრინციპად დარჩებოდა, რომლის მოხმობასაც მხოლოდ სასამართლოები შეძლებდნენ, ისიც იშვიათად წარდგენილ, დისკრიმინაციულ სარჩელებზე იმ ქალების მიერ, ვისაც როგორღაც გაუმართლათ და ხმა მიაწვდინეს მართლმსაჯულებას. სწორედ ამიტომ, როგორც სახელმწიფოთა კონსტიტუციებში აისახება წინამორბედი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში წარმოქმნილი შიშები,[41] ისე ქალთა უფლებების დაცვის სფეროში წამოჭრილი გამოწვევები აჩვენებს ეროვნულ კანონმდებლებსა და საერთაშორისო

[40]CEDAW ზოგადი რეკომენდაცია მუხლი 4 <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf> [13.02.2022]

[41] შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, მარინა მაისურაძის თარგმანი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძისა, თბილისი, 2003, 3

ხელშეკრულებების ტექსტების შემდგენლებს, რომელი შემთხვევები და გამოცდილებები ასახონ ქალთა მიმართ ძალადობისა და უფლებების დარღვევის სფეროში და რა მხრივ გაკეთდეს აქცენტი, რა მიმართულებით გატარდეს ღონისძიებები მონაწილე სახელმწიფოთა მიერ უკეთესი მმართველობისთვის. ამდენად, მნიშნელოვანია არსებობდეს ეფექტიანი კანონი, საკითხის მოწესრიგებისა და ქალთა მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელი სტანდარტები, რასთან შესაბამისადაც შეფასდება უფლების დარღვევის ფაქტები. უფლების დარღვევის ფაქტის ფორმალური დადენა, აღიარება სამართლებრივი ძალის მქონე აქტის მიერ წარმოადენს პირველ ნაბიჯს ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია სტამბულის კონვენციის ჩანაწერი კერძო სექტორის როლის აღიარების თაობაზე. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები განსაკუთრებული სიმწვავით სამუშაო ადგილზე და შემავიწროებლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხდება. შემავიწროებლის ქცევა გამოიხატებოდა ვერბალურ, არა ვერბალურ და ფიზიკური სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაში.[42] კერძოდ, შემავიწროებლების მიერ მსხვერპლის სხეულის ცალკეულ ნაწილებზე შეხებასა და ინტიმურ კომენტარებში;[43] სექსუალური გამოცდილებისა და პრეფერენციების შესახებ საუბარში; სქესობრივი კავშირის შეთავაზებაში.[44] მხარეები აღიარებენ, ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ ყველა დონეზე იმ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ქალთა მიმართ ძალადობას და ქმედით თანამშრომლობას ამყარებენ ამ ორგანიზაციებთან.[45] შესაბამისად, წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, სტამბულის კონვენციაში კერძო სექტორის ვალდებულების მითითება წარმოადენს დასაყრდენს, სამსახურეობრივი შევიწროვებისას ქალებმა იდავონ მათი უფლებების დაცვისთვის.

გარდა სამოქალაქო სექტორისა, მხარეები ხელს უწყობენ ან ატარებენ რეგულარულად და ყველა დონეზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიებსა თუ პროგრამებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დამცველ

---

[42] სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ
< https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> [10.02.2022]

[43] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია < https://bit.ly/2OsRREo > [16.02.2022]

[44] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< https://bit.ly/399DlZY > [16.02.2022]

[45] ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ " მუხლი 9

სახელმწიფო დაწესებულებებთან და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სადაც მიზანშეწონილია, ამაღლდეს ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და გაგების დონე ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის სხვადასხვა გამოვლინების, ბავშვებზე მათი შედეგებისა და ასეთი ძალადობის პრევენციის აუცილებლობის მიმართ.[46] საინფორმაციო ხასიათის კამპანიის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის მიმართულებას წარმოადენს ქალთა გაძლიერება და ძალადობის მსხვერპლ ქალთა დახმარება-რესოციალიზაცია[47], საჭირო დროს, უფასო იურიდიულ დახმარებას და სასამართლო წარმომადგენლობას უწევენ საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოში. ეხმარებიან ქალებს, მათ შორის ძალადობის მსხვერპლ ქალებს, მტკიცებულებათა შეგროვებასა და სამართლებრივი პოზიციის ფორმირებაში, უზრუნველყოფენ მას თავშესაფრით და სხვა სოციალური გარანტიებით.

კონვენციის თანახმად, მხარეები ასევე იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას, რათა, მათი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კონსულტანტებს ჰქონდეთ მსხვერპლის დახმარების ან/და მხარდაჭერის შესაძლებლობა, მათი თხოვნით, იმ საგამოძიებო და სასამართლო პროცესების დროს, რომლებიც ეხება ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულებებს.[48]

გარდა არასამთავრობო სექტორისა, ძალადობის მსხვერპლ ქალთა/სავარაუდო მსხვერპლთა უფასო იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური. ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვა წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას. იურიდიული დახმარების სამსახური ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლებისთვის, ასევე, უფასოდ უზრუნველყოფს სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებას და ადვოკატის მომსახურებას (ადმინისტრაციულ ორგანოში/სასამართლოში წარმომადგენლობას) იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის მიმართ სასამართლო განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის

[46] ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ " მუხლი 13

[47] იხ. მაგალითისთვის https://sapari.ge/ [19.02.2022];

[48] ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ " მუხლი 55

საკითხს, მიუხედავად პირის გადახდისუნარიანობისა; ხოლო შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა, მას შეუძლია ისარგებლოს უფასო საადვოკატო მომსახურებით.[49]

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, კოორდინირებულად მოქმედ ორგანოთა ერთობლიობა უნდა ქმნიდეს ქალთა მართლმსაჯულებაზე შეუფერხებელ წვდომას, გასული წლების გამოწვევები, საგანგებო მდგომარეობა[50] და პანდემიის პირობებში შემოღებული სხვადასხვა ღონისძიებები მნიშვნელოვნად აისახა ქალთა ადვოკატების ჩართულობის შესაძლებლობებზეც, რაც ქალებისა და გოგონებისთვის დამატებითი ბარიერი აღმოჩნდა ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უფლების რეალიზაციისთვის.[51] გარდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა, მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის პირობებში, მსხვერპლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მიიღონ სერვისები, რომლებსაც სთავაზობს სახელმწიფო და ჰქონდეთ მათ ამომწურავი ინფორმაცია. ერთის მხრივ, ეს ინფორმაცია უნდა იყოს მათთვის მარტივად ხელმისაწვდომი, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფო ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფდეს მათ დახმარებას და მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობას მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის პროგრამების კუთხით, სამწუხაროდ, პანდემიის პირობებში, დახმარების რაიმე სახის ღონისძიებები არ განხორციელებულა.[52]

მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომისთვის საჭირო ორგანოებისა და სამართლებრივი რეგულირების არსებობა განაპირობებს სახელმწიფოს პოლიტიკას, აღიაროს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, შექმნას პოზიტიური კანონმდებლობა, უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციული რესურსი, განსაზღვროს უფლების დაცვის მექანიზმები და მათი მოქმედების ფარგლები, განახორციელოს კონტროლი, აღკვეთოს დანაშაულის ნიშნები, გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავე. თუმცა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ან სხვა უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოების მიერ შექმნილი

---

[49] წყარო: < http://www.legalaid.ge/ka/services > [15.02.2022]

[50] საქართველოს პრეზიდენტის N1 დეკრეტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, 21.03.2020 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0 [13.02.2022]

[51] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება რომლითაც სამოქალაქო ორგანიზაციები ქობულეთში 14 წლის მოზარდის თვითმკვლელობის უმძიმეს საქმეს ეხმიანებიან 2021 წელი. < https://bit.ly/3qnWD6e> [19.02.2022]

[52] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოხსენება ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ https://gyla.ge/ge/post/qalta-uflebrivi-mdgomareobis-shesakheb [16.02.2022]

ნორმატიული ბაზა და სამართლებრივი დაცვის ორგანოების არსებობა საკმარისი არ არის. მათი საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, კანონის უზენაესობის პრინციპს, თანასწორობის და შედეგზე ორიენტირებული ხელმისაწვდომობის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

თავი 3

გამოწვევები ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გზაზე

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობა პირდაპირ არის დაკავშირებული მოსახლეობის სამართლებრივ და კულტურულ ცნობიერებასთან, ხალხთა ცოდნასა და მათ მორალურ წეს-ჩვეულებებზე, თუმცა ამასთან ერთად, მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომელიც საჭიროა, რომ ქალებს ჰქონდეთ თავიანთი დარღვეული უფლების აღდგენისა და მოთხოვნის უფლების დაცვის, არა მხოლოდ მატერიალური და სამართლებრივი, არამედ ფიზიკური და ეფექტიანი შესაძლებლობაც. ეს ელემენტები უპირველესად მოიცავს სამართლებრივ გარანტიებს, რომელსაც ქმნის მართლმსაჯულებაზე თანასწორი ხელმისაწვდომობის უფლების დამდგენი და მარეგულირებელი კანონმდებლობა-ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო. ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა იდეა, რომ მიუხედავად საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორად მიჩნევისა, მიუხედავად მკაფიო დამოკიდებულებისა და სახელმწიფოთა მხრიდან ერთხმად აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულად და სქესის განურჩევლად სარგებლობის უფლების განმტკიცებისა, გენდერთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში იმდენად მგრძნობიარეა საზოგადოება, რომ მათი მხოლოდ კანონის ძალით მოწესრიგება სწრაფ და თვალსაჩინო შედეგს არ იძლევა. სწორედ ამიტომ, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები კანონის გახორციელებაში და ბარიერები, რომელსაც ,,სქესი'''- როგორც უფლებით სარგებლობის დამაბრკოლებელი გარემოება ქმნის, ყოველთვის ყურადღების ეპიცენტრშია საერთაშირისო მკვლევარებისთვის, ეროვნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოებისთვისა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

3.1 გენდერული ხარვეზები მართლმსაჯულების განხორციელებაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა ვიცე პრეზიდენტმა და მოსამართლემ ფრანცუაზ ტულკიენსმა[53] 2007 წელს გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღწერილია ქალ მოსარჩელეთა მიმართვიანობის მაჩვენებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის: შეკითხვას-სასამართლოში შეტანილი ყველა განაცხადიდან რამდენია შეტანილი ქალების მიერ? პასუხი უნდა გავცეთ ორი საკითხის შეფასების შედეგად - რამდენი საჩივარი განიხილება სასამართლოში (მიმდინარე) და რამდენი საქმე განიხილება ყოველწლიურად (ნაკადი) - აღნიშნული მონაცემების ურთიერთ-შეჯერება მოგვცემს მაჩვენებელს, თუ რამდენად ხშირად/იშვიათად მომართავენ სასამართლოს ქალები_მამაკაცებთან შედარებით. სტატისტიკური ანალიზის თანახმად, ქალების მიერ შეტანილი განაცხადების რაოდენობა - 1998 წლის 1 ნოემბრიდან - 2006 წლის 1 მარტამდე - იყო დაახლოებით 1 300, რაც უდრის ყველა დასაშვებად ცნობილი განაცხადის დაახლოებით 16%-ს. მოსამართლის განმარტებით, სიღრმისეული რაოდენობრივი გამოკვლევის[54] საჭიროება განცალკევებულად არ არსებობს, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ სასამართლოს შეუძლია განიხილოს მხოლოდ მასზე გადაცემული საქმეები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის[55] საფუძველზე წარდგენილი საჩივრის ავტორი უმეტესად მამაკაცი იყო. მართლაც, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, ემყარებოდა მამაკაცთა განცხადებებს. სარჩელები ეხებოდა მამობის საკითხებს, ასევე სხვა შეღავათიან მოპყრობებს, სადაც ქალი უპირატეს მდგომარეობაშია კაცთან შედარებით. (მაგალითად ქალების საჯარო სამსახურის გარკვეული ფორმებისგან გათავისუფლება). აღნიშნული არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ქალთა უფლებები ნაკლებად ირღვევა, ვიდრე მამაკაცის. მათგან ცხადად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქალები მნიშნელოვან ბარიერებს აწყდებიან თავიანთი უფლებების დაცვის გზაზე, განსაკუთრებით_თანაბარი მოპყრობის თვალსაზრისით.[56]

---

[53] Françoise, Baroness Tulkens - ბელგიელი ადვოკატი და ექსპერტი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროში, და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი. იგი მსახურობდა სასამართლოს წევრად 1998 წლიდან, სექციის პრეზიდენტად 2007 წლიდან და ვიცე-პრეზიდენტად 2011 წლის თებერვლიდან - 2012 წლამდე მისი ვადის სრულად ამოწურვამდე.

[54]იგულისხმება შეტანილი სარჩელების ანალიზი, რომელიც არ იქნა მიღებული განსახილველად სასამართლოს მიერ. ავტ.

[55] დისკრიმინაციის აკრძალვა. ავტ.

[56] Tulkens F., Human rights, rights of women Female applicants to the European Court of Human Rights 2007, 9-12. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680597b21 [11.02.2022].

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების ყოველი სისტემა წარმოდგენილი იქნეს მყარი, ფიზიკურად ხელმისაწვდომი და ქალთა საჭიროებებთან ადაპტირებული. მათ შორის ისეთი ქალებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან ინტერსექციური[57] და არაპირდაპირი[58] დისკრიმინაციის ფორმებს.

ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კონტექსტში, ფართო მასშტაბიანი კვლევის პირობებში, რელევანტური იქნებოდა ქალთა მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის გზებისა და განმარტებების, სისტემურ ცნებებსა და დისკრიმინაციის მოტივებზე ვრცელი განმარტებების მითითება, თუმცა ვინაიდან ნაშრომი ორიენტირებულია ვიწროდ, ქალთა ხელმისაწვდომობის უფლებაზე, მის ბარიერებსა და ხელშემწყობ ფაქტორებზე, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრიდან ქალთა და მამაკაცთა, de facto, თანასწორობის აღდგენის კონტექსტზე იქნება ძირითადი აქცენტი. აღნიშნული მნიშნელოვანია იმდენად, რამდენადაც ითვალისწინებს სპეციალურ წესებს, რომელიც ხელოვნურად მისაღწევს ხდის სქესთა განსხვავებულობაზე დაყრდნობილ უთანასწორობას. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, რომ სქესთა შორის განსხვავებულობაზე დაყრდნობილი პრაქტიკა განაპირობებს სწორედ ქალთა და მამაკაცთა მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომის არათანაბარ შესაძლებლობებს, აღნიშნული საკითხი ამ კუთხით მნიშნელოვანია საკითხის ფართოდ შესწავლისა და გაანალიზების მიზნებისთვის.

მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის გახანგრძლივებას, ასევე ბარიერები რომლებიც ხელს უშლის მსხვერპლ ქალებს შეატყობინონ ძალადობის შესახებ შესაბამის დაწესებულებას და მოიძიონ სამართალი, ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მართლმსაჯულების წვდომის შეუძლებლობა რთული სოციალური ფენომენია, რომელიც გამოწვეულია უთანასწორობის არსებობით. ხშირად კოლექტიურად, იურიდიულ, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონეებს და მათგან გამომდინარე გამოწვევებს მოიცავს. ასეთმა ბარიერებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ხელმისაწვდომობაზე, მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე. [59]

---

[57] ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ორი ან რამდენიმე საფუძველი მოქმედებს ერთდროულად და ურთიერთქმედებს განუყოფლად, რაც იწვევს დისკრიმინაციის მკაფიო და სპეციფიკურ ფორმებს. ავტ.

[58] ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ნეიტრალური პოლიტიკა ან კანონი არათანაბრად მოქმედებს და უარყოფითად ზემოქმედებს დაცული ნიშნით გამორჩეულ ადამიანთა წრეზე. ავტ.

[59] Preventing and combating domesic violence against women. A learning resource for training law-enforcement and justice officers (CoE), 2016, 9.
< https://rm.coe.int/16805970c1>

CEDAW ითვალისწინებს სპეციალური ზომების გამოყენებას დისკრიმინაციის გრძელვადიანი დადებითი შედეგების საპირწონედ. კონვენციის თანახმად, შესაძლოა დროებით შეღავათიანი პოლიტიკის გატარება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის შესაქმნელად. აღნიშნული არ ჩაითვლება (გამართლდება) მამაკაცთა დისკრიმინაციას, მანამ სანამ დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: სპეციალური ღონისძიებები მიზნად ისახავს, de facto, თანასწორობის დაჩქარებას, გამოყენებული ღონისძიებები დროებითია და მათი მოქმედება შეწყვეტადია თანასწორობის მიზნის მიღწევისთანავე. ამასთან, განსხვავდება დროებითი სპეციალური ზომები და ზომები, რომელთა მიღწევა ხელოვნური ჩარევით ვერ განხორციელდება და მუდმივ ხასიათს ატარებს. მუდმივი ხასიათის მატარებელია ის მახასიათებლები, რაც გამომდინარებს ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური, გენეტიკურად თანდაყოლილი ბუნებიდან. ბუნებრივი ზომები მოიცავს სპეციალურ პოლიტიკას რომელიც დაკავშირებულია ქალთა რეპროდუქციული უფლებებისა ან დედობის უფლებების დასაცავად.[60]

საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერება პირდაპირ არის დაკავშირებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზანთან. მნიშნელოვანია ქალთა ჩართულობა სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროებში, როგორც ქალის როლის გაძლიერების პოზიტიური მაგალითი. ხშირად, ადამიანთა აზროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ წილად სწორედ ის გარემო ახდენს გავლენას, სადაც მათი აზრები ფორმირდება. ვინაიდან ქალთა უფლებების დაცვას, ისევე როგორც ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთასა და მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობას ერთი ფუნდამენტური ღირებულება უდევს საფუძვლად - ქალთა და მამაკაცთა, de facto, თანასწორობა, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ქალთა როლის გაძლიერებისთვის თავის კვალს დაამჩნევს იმ სფეროებს, სადაც მივიჩნევთ, რომ გენდერული დისბალანსი უფლების დარღვევის საფუძველია. ამ მხრივ საქართველოში ძალიან აქტუალურია პოზიტიური დისკრიმინაციის საკანონმდებლო მაგალითი,[61] რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა მიჩნეული. პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

---

[60]General Recommendation N25 <https://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf > [11.02.2022]

[61] საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღო, რომლითაც დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს. წყარო: საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

და, იმავდროულად, მამაკაცებით დომინირებულ სფეროში ქალთა მონაწილეობის გაზრდა მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორია, აგრეთვე საზოგადოებრივი განწყობების შეცვლისთვის, რომელსაც გაცილებით ფართოდ, ცხოვრების სხვა სფეროებზე გავრცელების ეფექტი აქვს. პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობას გააჩნია მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა, გადაცემადი ეფექტი სხვა სფეროებში მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ქვეყნის მართვაში ქალების წარმომადგენლობის გაზრდა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი სტერეოტიპების დამარცხებას, რომლის თანახმადაც, გარკვეული საკითხები „ქალის საქმე არ არის“ და მათ მთელ რიგ სფეროებში გადაწყვეტილების მიღებისას კაცის თანასწორი უფლება არ გააჩნიათ. ამდენად, კონკრეტული, სადავო რეგულაციის მიზანი არა მხოლოდ კონსტიტუციითაა უშუალოდ განსაზღვრული, არამედ იგი უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სქესთა შორის რეალური თანასწორობის ჩამოყალიბებისა და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრისთვის.[62]

თანასწორი შესაძლებლობების არსებობის პირობებშიც კი, შესაძლოა ადამიანებმა ვერ დაიცვან საკუთარი უფლებები პრაქტიკულად, ცოდნის არქონის, რესურსებზე შეზღუდული წვდომისა და მართლმსაჯულების სისტემის კომპლექსურობის გამო, მოქნილი ნავიგაციის შესაძლებლობის არარსებობის მიზეზით. ქალები ხშირად მამაკაცებთან შედარებით არახელსაყრელ ვითარებაში იმყოფებიან. აღნიშნული თეორია განსაკუთრებით მიემართება რაიონებში და დედაქალაქისგან მოშორებით მცხოვრებ ქალებს, განსაკუთრებით ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებული ქალების რადგან, მათი განათლების დონე,[63] ქართული ენის არ ცოდნის გამო წვდომა რესურსებსა და ინფორმაციაზე, სამართლებრივი ცნობიერება და ეკონომიკური დონე ხშირად კაცებთან შედარებით დაბალია. ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორები, კი ხშირად არ აძლევთ მათ შესაძლებლობას, მიმართონ მართლმსაჯულებას საკუთარი უფლებების დასაცავად. ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების სოციალური ჩართულობის დონე დაბალია. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ქალების ძალიან მცირე რაოდენობას გააჩნია

---

[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 37

[63] ეთნიკური უმცირესობის ქალები ძირითადად საშუალო განათლების მქონენი არიან (45%.) უმაღლესი განათლება მხოლოდ 5%-ს აქვს. წერა-კითხვის უცოდინართა ხვედრითი წილი 7%-ს აღწევს. 33%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს. 10%-ს საშუალო პროფესიული, 1.4% კი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია. წყარო: ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები ქვემო ქართლის რეგიონში, UN Women, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (www.issa-georgia.com), კვლევა დაბეჭდილია შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“-ს მიერ, თბილისი, 2014, 14-15

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ამ ქალების ძირითადი სოციალური საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან, მათ შორის ბავშვთა საჭიროებებთან დაკავშირებულ აქტივობებში ჩართულობასთან.[64]

სოციალურ-კულტურული ბარიერები, თავისთავად მოქმედებს როგორც მართლმსაჯულებაზე უფლების წვდომის იმანენტური ბარიერი. მართალია მათი აღმოფხვრა შეუძლებელი არ არის, თუმცა დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებასთან, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასა და საზოგადოებისთვის საჭირო, დემოკრატიულ სერვისებზე წვდომისთვის მოქნილი მექანიზმების შექმნასთან. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოში ხელისუფლების წყარო ხალხია,[65] სახელმწიფო პოლიტიკაზე უშუალოდ გავლენას ვერ მოახდენს ერთეული ადამიანების ძალისხმევა, შეცვალონ ინსტიტუციური, სოციალურ-კულტურული, ბარიერები იმგვარად, რომ შესამჩნევი გახდეს წვდომის სისტემური გაადვილება. ამის საპირისპიროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, როგორც ზოგადი და მეტად თეორიული კონცეფცია პრაქტიკაში გამოიყენება კონკრეტული სუბიექტის, ინდივიდის, ადამიანების მიერ რომლებიც მართლმსაჯულებას მიმართავენ საკუთარი, პირადი დარღვეული უფლების აღსადგენად ან აღიარებული და გარანტირებული უფლების დასაცავად. შესაბამისად, ერთეული შემთხვევები ქმნიან სტატისტიკას, ერთეული შემთხვევები ქმნიან პოლიტიკას და მიდგომას. სამართლის მაძიებელი სუბიექტისთვის უფრო მნიშნელოვანია როგორ გადაწყდება მისი ერთი კონკრეტული საქმე, ვიდრე რა მიდგომები და შედეგები აქვს მართლმსაჯულებას ზოგადად.

გარდა სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ფაქტორების შედეგად შექმნილი ბარიერებისა, არსებობს გამოწვევები, რომელთა მოგვარების გზები მეტად სუბიექტურია და სწორედ თითოეული მართლმსაჯულების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის აღქმადობაზე და შთაბეჭდილებებით ინსპირირებულ ქცევაზეა დამოკიდებული. ამგვარ ბარიერებს ქმნიან სტერეოტიპები, სტიგმები, საზოგადოებაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა და მეორეული ვიქტიმიზაციის გავლენით წარმოქმნილი დამატებითი ბარიერები.

---

[64] საქართველოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ბარიერები, დაცვის საშუალებები და კარგი პრაქტიკა (SPDP), ევროპის საბჭო, 2017, დაბეჭდილია ევროპის საბჭოს მიერ, 29 https://rm.coe.int/georgia-country-study-on-the-barries-geo-web/16808e9a36 > [1.02.2022]

[65] საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 3

3.2 სტერეოტიპებისა და მეორეული ვიქტიმიზაციის გავლენით წარმოქმნილი დამატებითი ბარიერები ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობაში

გენდერული სტერეოტიპები, როგორც ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები ხასიათდება სუბიექტურად აღქმადი, შეფასებითი შინაარსის მატარებელი სპეციფიკური თვისებებით. გენდერულ სტერეოტიპებს მრავალი განმარტება აქვს, მისი ზოგადი დეფინიციიდან გამომდინარე, გენდერული სტერეოტიპი განისაზღვრება, როგორც გარკვეული ჯგუფის მახასიათებლების, განსხვავებებისა და ატრიბუტების გადაჭარბებული განზოგადება მათი სქესიდან გამომდინარე. გენდერული სტერეოტიპები ქმნის ფართოდ მიღებულ მიკერძოებას გარკვეული მახასიათებლების ან თვისებების შესახებ და განამტკიცებს მოსაზრებას, რომ თითოეული სქესი და მასთან დაკავშირებული ქცევები ორობითია. ამ ვარაუდით, თუ მამაკაცი ან ქალი იქცევა განსხვავებულად, ვიდრე მათი სქესის ქცევა მოსალოდნელია, შემფასებლის აღმაში კავშირის გაწყვეტა ხდება მოსალოდნელსა და რეალურს შორის, შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდი, რომელიც არ იქცევა ისე, როგორც ამას შემფასებელი მისი სქესის წარმომადგენლისგან მოელის, იქცევა შეუფერებლად, რაც მის მიმართ უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სტერეოტიპების გავლენისგან თავისუფალი აღქმადობა პირველ რიგში მოსამართლეებისთვის, სასამართლოს მოხელეებისთვის, ადვოკატების, გამომძიებლების, პოლიციელებისთვის და პროკურორებისთვის არის გამოწვევა. განსხვავებით საზოგადოების სხვა წევრებისგან, მათ კანონი ავალდებულებს მიიღონ ნეიტრალური გადაწყვეტილებები რომელიც თავისუფალი იქნება სუბიექტური გავლენებისგან.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა დღეს მთავარი მიზანია ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის და ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზები უნდა წამოიჭრას, რომ სქესის ნიშანზე მითითებით განსხვავებული მოპყრობა ჩაითვალოს კონვენციასთან თავსებადად. კერძოდ, მითითებები ტრადიციებზე, ზოგად ვარაუდებზე ან კონკრეტულად გაბატონებულ სოციალურ დამოკიდებულებებზე ქვეყანაში არასაკმარისი დასაბუთებაა სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობისთვის.[66]

საზოგადოების კულტურასა და აზროვნებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმები თავის მხრივ გავლენას ახდენენ მართლმსაჯულების პროცესებზე. სტერეოტიპული განწყობის უარყოფითი გავლენები განსაკუთრებით მწვავედ ჩანს ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის[67] ფაქტის

[66] Konstantin Markin v. Russia, Grand Chamber judgment of 22 March 2012, § 127.

[67] იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება), 138-ე (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება) და 139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის

გაცხადების შემთხვევებში. ასეთ დროს ხშირია საზოგადოების რეაქცია რომელიც მსხვერპლის ბრალდებებზე მიუთითებს. რასაც შედეგად, მსხვერპლის სოციალური და ფსიქო-ემოციური ფონის დამძიმება მოჰყვება. აღნიშნული კი დანაშაულის განცხადებაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლოა გახდეს, რომელიც თავის მხრივ, ჯაჭვური რეაქციით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებების არასრულ აღრიცხვასა და მოძალადის დაუსჯელობას იწვევს, უფრო მეტიც, ხშირად მოძალადის მხრიდან იმავე ან სხვა მსხვერპლზე დანაშაულის წახალისებას უწყობს ხელს.

3.2.1 სტერეოტიპებით გამოწვეული მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია

სტერეოტიპებული შეხედულება საქმისწარმოებისას არის საერთო და დამღუპველი ბარიერი ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. ასეთი სტერეოტიპები აიძულებს მოსამართლეებს მიაღწიონ შეხედულებას საქმეების შესახებ წინასწარ გააზრებულ შეხედულებებზე და არა შესაბამის ფაქტებსა და რეალურ გამოძიებაზე. ამას შეიძლება ჰქონდეს პოტენციურად ფართო შედეგები. ამან შეიძლება, მაგალითად, დაამახინჯოს მოსამართლეთა აღქმა ფაქტების შესახებ, გავლენა მოახდინოს მათ ხედვაზე, თუ ვინ არის „მსხვერპლი'' და გავლენა მოახდინოს მათ შეხედულებებზე მოწმის სანდოობის შესახებ. თუმცა, საბოლოო ჯამში, ის საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობას და მთლიანობას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების შეცდომა და მომჩივანთა ხელახალი ვიქტიმიზაცია.[68]

მეორადი ვიქტიმიზაციის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის დაკითხვისას. საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძლადობისა და ოჯახში დანაშაულების საქმეებზე ეფექტიანი და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. ოჯახურ დანაშაულებზე დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას. დაზარალებულის პირველივე დაკითხვა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი. დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზეწოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახში წევრის

შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. ავტ.

[68] OHCHR, Eliminating judicial stereotyping: Equal access to justice for women in gender-based violence cases, 2014, II.

წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.[69] პიროვნების მესამედ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს, პირველადი და მეორადი ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულისაგან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან; იგი საკუთარ თავს გარშემო მყოფთა მსხვერპლად მიიჩნევს და არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთან (რე)ვიქტიმიზაცია კიდევ არის ახლო მომავალში მოსალოდნელი. [70]

3.2.2 საერთაშორისო ვალდებულებები სტერეოტიპების შესახებ

ადამიანის უფლებათა ორი საერთაშორისო ხელშეკრულება შეიცავს აშკარა ვალდებულებებს სტერეოტიპების შესახებ: CEDAW და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესაბამისად, სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათწესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უძევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობას იდეა; ამასთან, უნდა უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები. [71]დეფინიცია თავად განსაზღვრავს ძირითად სტერეოტიპულ დებულებებს და მიუთითებს, რომ ცრურწმენებისა და ადათწესების გათვალისწინებული ქცევის წესები ხშირად დამღუპველად მოქმედებს ქალთა მიერ სამართლის ძიების გზაზე. როგორც სექსიზმი, ასევე სექსისტური ენა ეხება ცრურწმენებს, სქესის ნიშნით დისკრიმინაციას ან სტერეოტიპებს, როგორც წესი შეხედულებას, რომ ქალები დაქვედებარებულები არიან და კაცებზე დაბლა დგანან. სექსიზმის ცნება განიმარტება, როგორც გენდერული სტერეოტიპების გამოხატულების შედეგი. სექსიზმის გამოვლენა ხშირად შეფარულია მისი დადებითი კონტექსტით.

---

[69] საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბილისი, 2017 გვ 68; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobissaqmeebshi.pdf [16.02.2022]

[70]შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის შესახებ, 2011, გვ 34-35

[71] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) მუხლი 5.

როდესაც ქალის მიმართ გამოხატული დადებითი ემოცია ეფუძნება მხოლოდ შემფასებლის მიერ აღწერილ გარეგნულ მახასიათებლებს: ქალის გარეგნობას, ტანისამოსს, მის ტოლერანტულ თუ ემპათიურ ხასიათს. ხოლო იმავე შემფასებლის მიერ, დაპირისპირებული მამაკაცი მხარის დადებითი შეფასებები ხაზს უსვამს მამაკაცის გონივრულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

CEDAW მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა თუკი ამის საჭიროება იქნება, შეცვალოს მამაკაცისა და ქალის ქცევის სოციალური და კულტურული მოცემულობა, რათა აღმოიფხვრას პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია რომელიმე სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეაზე.

გენდერული სტერეოტიპების გავლენები არ მიემართება მხოლოდ მათ მიმართ სახელმწიფო ორგანოთა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ხშირად თავად ქალები არიან სოციალური სტიგმის დამცველნი და სოლიდარულობისა და ემპათიის ნაკლებობით, თავადაც აღვივებენ სტერეოტიპულ ზემოქმედებას გარშემო არსებულ სიტუაციებზე ამგვარი შეფასებებით. ძალადობის გამოცდილებასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზების მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, თუ რამდენად აიტანს განხორციელებულ ძალადობას ფართო საზოგადოებრივი შეხედულებები და დამოკიდებულებები. ტოლერანტობის გამოვლენისას ან დანაშაულზე გულგრილი დამოკიდებულების გამოხატვით, ჩადენილი ძალადობის საზომად ხშირად ქალები საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობიან და ამგვარად ცდილობენ ძალადობის ხარისხის შეფასებას. [72]

მოსამართლეები, პროკურორები, ასევე გამომძიებლები და პოლიციელები წარმომადგენენ საზოგადოების ნაწილს, რომელსაც შესაძლოა გააჩნდეს ადამიანის უფლებების საყოველთაო სტანდარტებთან შეუსაბამო სტერეოტიპული შეხედულებები, თუმცა ვინაიდან სწორედ მათ ხელშია ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზება და უფლების ეფექტიანად გამოყენების ბერკეტები, კანონი სწორედ მათ ავალდებულებს გადაწყვეტილება მიიღონ სუბიექტური გავლენებისგან თავისუფლად, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის შესაბამისად, როდესაც გარემოება ამის საჭიროებას მოითხოვს.

სასამართლო მიერ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება შემაკავებელი ორდერის

[72] Guidelines for Producing Statistics on Violence against Women— Statistical Surveys, United Nations New York, 2014 68.
< https://unstats.un.org/unsd/gender/docs/Guidelines_Statistics_VAW.pdf>

გაუქმების თაობაზე წარდგენილ ადმინისტრაციულ სარჩელს ან განცხადებას დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე, ,,იუველირის'' სიფთხილეა საჭრო, რომ არასწორმა შთაბეჭდილებებმა ხელი არ შეუშალოს საკითხის სრულყოფილ და ყოველმხრივ გამოკვლევას. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებისას, ბრალმდებელი არის სახელმწიფო_შესაბამისად, მოსამართლესთან ერთად, საქართველოს პროკურატურის ორგანოების წინაშე დგას ეს გამოწვევა. სამოქალაქო საქმისწარმოებისას, მხარეები, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, თავად ცდილობენ მტკიცებულებების შეგროვებას და საკუთარი არგუმენტების დასაბუთებას სასამართლოში. სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო თავად იძიებს და იკვლევს მტკიცებულებებს, რომელსაც სისხლის სამართლის განმხილველი მოსამართლე აფასებს. განსხვავებით მათგან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადენილი წესით სასამართლოში შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე წარდგენილი სარჩელისას, ასევე დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, განცხადების შეტანისას, საკითხი, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში ეხება ოჯახში მომხდარი ძალადობის ისეთ შემთხვევას, რომელსაც არ ჰყავს შემსწრე. მხარეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაგროვონ მტკიცებულებები და ხშირად, მათ მიერ წარმოდგენილი სარჩელი მხოლოდ წერილობითი ახსნა-განმარტებითა და ზეპირად გადმოცემული ფაქტებით შემოიფარგლება. ამასთან, გასათვალისწინებელი საკითია, რომ საკითხი მეტად მწვავეა იმდენად, რამდენადაც მოძალადისგან მსხვერპლის დაცვის მითითებული ღონისძიებები დროებითი ხასიათისაა და მათი უმთავრესი დანიშნულება მსხვერპლის უსაფრთხოების მყისიერი დაცვაა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლო განხილვისას, ერთმანეთს ორი დაპირისპირებული მხარე დგას და საქმეში არსებული მტკიცებულებები მხოლოდ მათი ზეპირსიტყვიერი განცხადებებით შემოიფარგლება, მოსამართლის მიერ გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი განსჯის უნარი წარმოადგენს ერთადერთ გზას, მსხვერპლმა დაიცვას საკუთარი პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების უფლებები.

ამ მხრივ მნიშნელოვანია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის განმარტება, ბულგარეთის წინაღმდეგ წარდგენილ განაცხადში, სადაც მიუთითა, რომ მოძალადე პარტნიორისთვის მუდმივი დაცვის ორდერის გამოწერაზე პლოვდივის რაიონული და რეგიონული სასამართლოების უარი, ეფუძნებოდა „სტერეოტიპულ, წინასწარ გააზრებულ და, შესაბამისად, დისკრიმინაციულ ცნებებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა“. მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დაკისრებისას, კომიტეტმა დაადასტურა, რომ მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან სასამართლო სტერეოტიპებისთვის, რომლებიც არღვევს CEDAW-ს. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სტერეოტიპები

გავლენას ახდენს ქალთა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე და რომ სასამართლო სისტემა ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ შექმნას მოუქნელი სტანდარტები წინასწარ გააზრებულ ცნებებზე იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ოჯახში ან გენდერულ ძალადობას". თავის რეკომენდაციებში, კომიტეტმა მოუწოდა მონაწილე სახელმწიფოს ჩაატაროს მოსამართლეთა სავალდებულო ტრენინგი „ოჯახური ძალადობისგან დაცვის შესახებ" კანონის შესახებ, მათ შორის „ოჯახური ძალადობის განმარტებისა და გენდერული სტერეოტიპების შესახებ".[73]

მართლმსაჯულების სისტემაში, ხშირია შემთხვევა, როდესაც გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან ერთზე მეტი ნიშნით დისკრიმინირებული ქალები, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები. შეზღუდული შესაძლებლობები მქონე ქალთა ევროპული კონვენცია მოითხოვს ხელისუფლების ყველა შტოსგან, მათ შორის სასამართლო სისტემისგან, მიიღოს დაუყოვნებლივი, ეფექტიანი და შესაბამისი ზომები შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სტერეოტიპებთან საბრძოლველად. ასეთი ღონისძიებები მოიცავს განათლებისა და ტრენინგის ინიციატივებს და პოლიტიკას და პროგრამებს სტერეოტიპებთან საბრძოლველად. და მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა შეცვალონ ან გააუქმონ არსებული კანონები, რეგულაციები, წეს-ჩვეულებები და პრაქტიკა, რომლებიც დისკრიმინაციას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ. ეს მოიცავს კანონებს, რეგულაციებს, წეს-ჩვეულებებს და პრაქტიკას, რომელიც დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს ორივე ნიშნის საფუძველზე (ინტერსექციული დისკრიმინაცია).

კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე შექმნილი, მართლმსაჯულების სისტემების კრიტიკული ელემენტი, არის ის, რომ მათი გადაწყვეტილებები მიუკერძოებელი და სამართლიანი უნდა იყოს. ასევე აუცილებელია ისინი თავისუფალი იყოს გენდერული მიკერძოებისგანაც. გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული მიკერძოების შესახებ ვალდებულების გამოხატვა შედის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და სტრატეგიულ დოკუმენტებში, სადაც აღწერილია გენდერული სტერეოტიპების განსაზღვრებები, მისი მახასიათებლები, ხაზგასმულია დებულება, რომ გენდერული ხარვეზები კანონის განხორციელებაში წარმოადგენს მართლმსაჯულებაში ქალთა ხელმისაწვდომობის ბარიერს. სასამართლო გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბება სახეზეა, როდესაც მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლები, ანიჭებენ ინდივიდუალურ-კონკრეტულ ატრიბუტებს,

[73] OHCHR, Eliminating judicial stereotyping: Equal access to justice for women in gender-based violence cases, 2014, 7

მახასიათებლებს, როლებს ადამიანებს მათი სქესის საფუძველზე; ამყარებენ მავნე სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, იმით რომ არ შესწევთ შესაძლებლობა მათი დაუყოვნებლივ აღკვეთისათვის; უშვებენ, რომ სტერეოტიპების საფუძვლით ჩამოყალიბებულმა შთაბეჭდილებებმა გავლენა მოახდინონ მათ მიღებულ გადაწყვეტილებებზე-კანონის მოთხოვნებისა და საქმეში არსებული ფატების მიუხედავად. მიმდინარე თავში განხილული იქნა სტერეოტიპების გავლენა, როგორც მართლმსაჯულებაზე ფიზიკურად ხელშემშლელი გარემოება, ასევე რეალური შედეგის დადგომისთვის უარყოფითი ფაქტორი. ცხადია, დასახელებული სამართლებრივი აქტები და ნორმები არ არის ამომწურავი ხასიათის, თუმცა მათი განხილვის საფუძველზე ცალსახაა, საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავს გენდერული სტერეოტიპების თავის აცილებისთვის საჭირო და აუცილებელ ყველა მექანიზმს. ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გამოწვევაა მითითებული პრინციპებისა და ნორმების პრაქტიკულად განხორციელება, ასევე საჭირო და მნიშვნელოვანია სტერეოტიპებისგან თავისუფალი საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება სახელმწიფო ორგანიზაციების და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ. პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ გენდერული სტერეოტიპები შეინიშნება კანონის ყველა სფეროში, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გავრცელებულია გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებში. სტერეოტიპები განსაკუთრებით საზიანოა, რადგან მათ შეუძლიათ დაამახინჯონ იურისტების აღქმა ისეთ დანაშაულებებთან დაკავშირებით, როგორიცაა გაუპატიურება, ფემიციდი, ოჯახში ძალადობა და შედეგად გამოწვიონ კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება.

მართლმსაჯულების სისტემის ყველა მონაწილეს აქვს როლი გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაში, აღნიშნული აღიქმება, როგორც გენდერულ სტერეოტიპებზე უარის თქმა და მათთან დაპირისპირება ყველგან, სადაც ისინი ვლინდება.

3.3 მოძალადის დაუსჯელობა და ქმედების არასწორი კვალიფიკაცია როგორც მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე უარის თქმა

სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რომელიც გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციაში[74] არის უფლების უზოგადესი გარანტიის შემქმნელი, უფლების განმსაზღვრელი ნორმა-პრინციპი, რომელიც აღწერს ხელმისაწვდომობის უფლების შინაარსსა და ფარგლებს.

[74] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი

სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს ძალიან ფართო საკითხს და არ წამოადგენს ნაშრომის ძირითად მიმართულებას. ნათელია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ზოგადი ბარიერები როგორიცაა ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები, ფიზიკური, გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, სამართლებრივი არცოდნის და სხვა სოციალურ-კულტურული ბარიერები, უფრო მეტად არის მიუწვდომელი ქალთათვის, როგორც საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფისთვის. თუმცა, მსჯელობა ამის შესახებ მეტად თეორიულია, რამდენადაც გარკვეული ბარიერები შესაძლოა ისევე იყოს გავლენის მქონე ქალებზე, როგორც მამაკაცებზე და თანაბრად უშლიდეს მათ ხელს სამართლის ძიებაში. თუმცა ნაშრომში დამტკიცებულია იდეა, რომ გენდერული სტერეოტიპები სწორედ ის განსხვავებული ნიშანია რაც ქალთა მიმართ მართლმსაჯულებაზე უთანასწორო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და დამატებით ძირს უთხრის ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ქალთა ხელმისაწვდომობა სასამართლოზე და სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი_სამართლიანი აღსრულება. მოიცავს თუ არა ძალადობის მსხვერპლ ქალთა სამართლიანი სასამართლო უფლება მოძალადის ქმედების სწორ კვალიფიკაციას და შესაბამის სასჯელს?

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.[75]

ქალთა მიმართ ძალადობა ერთი მხრივ არის ბარიერი, რომელიც ქალებს ხელს უშლის წვდომა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, ხოლო მეორეს მხრივ თავად შესაძლოა გახდეს ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომის შეზღუდვის შედეგი. მას გააჩნია ორმაგი ეფექტი და შეუძლებელია ქალთა მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე მსჯელობისას არ შევეხოთ ისეთ კომპლექსურ ცნებას, როგორიცაა მსხვერპლ ქალთა წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, მიუხედავად საერთაშორისო სამართლებრივი თუ ეროვნული საკანონმდებლო ცვლილებისა, ამ დროისთვის ყველაზე უფრო მეტად არის სამეცნიერო და სამოქალაქო საზოგადოებისთვის კვლევის, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ-

[75] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი 3

შეფასების საგანი. შესაბამისად, მისი ვრცელი და მრავალმხრივი ბუნების გამო, საკითხი ნაშრომში განხილული იქნება ვიწროდ - მართლმსაჯულებაზე მსხვერპლი ქალების წვდომის ჭრილში, რამდენადაც სწორედ აღნიშნული სფერო წარმოადგენს ნაშრომის ძირითად ვექტორს.

გენდერული ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქალთა შესაძლებლობას, თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, კაცების მსგავსად სრულად ისარგებლონ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით.[76] სახელმწიფოებმა საჭიროა უზრუნველყონ მსხვერპლთა ეფექტიანი და რეალური წვდომა სასამართლოებსა და ტრიბუნალებზე; რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა ადეკვატური რეაგირება მოახდინონ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა შემთხვევაზე, მათ შორის დაეყრდნონ სისხლის სამართლის კანონმდებლობას და, საჭიროებისამებრ, მიმართონ ex officio სისხლისსამართლებრივ დევნას, რათა ბრალდებული გასამართლდეს მიუკერძოებლად, სამართლიანად, დროულად და სწრაფად და დაექვემდებაროს სათანადო სასჯელს.[77]

ძალადობის მსხვერპლი ქალები და მითუმეტეს ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი გოგონები ხშირად მართლმსაჯულებაზე უარს საკუთარი ნებით ამბობენ, აღნიშნულს სხვადასხვა მიზეზები განაპირობებს.

დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, გარდა იმისა, რომ ეს მისი კანონიერი უფლებაა, შეიძლება აიხსნას ასევე ისეთი მოვლენით, როგორიც არის „სტოკჰოლმის სინდრომი," სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსული რეაქცია, რომელიც მსხვერპლს აგრესორის მიმართ ახასიათებს. ამ მექანიზმს აგრესორთა იდენტიფიკაცია ეწოდება და მოქმედებს მაშინ, როდესაც ამ ირაციონალური პოზიციის გასამყარებლად მოძალადე აღიქმება, როგორც სიმპათიური და კარგი ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან იდენტიფიცირება გაძნელდება. სასამართლო დაზარალებულის ქცევას მოძალადეზე ფინანსური დამოკიდებულებითაც ხსნის. კერძოდ, დაზარალებულები, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და არ გააჩნიათ დამოუკიდებელი შემოსავალი, ბავშვების გამოკვების მოტივით, იძულებულები არიან, თავი მსხვერპლად შესწირონ მოძალადეს და უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს მოძალადისაგან მომდინარე შურისძიების შიშზეც, ვინაიდან ძალიან ხშირად

[76] CEDAW ზოგადი რეკომენდაცია 19 მუხლი 1
https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf [19.02.2022]
[77] CEDAW ზოგადი რეკომენდაცია 35 მუხლი 1
https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf [18.02.2022]

მოძალადე დაზარალებულს ადანაშაულებს და საყვედურობს პოლიციისათვის მიმართვის გამო. მოსამართლემ დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ზემოხსენებული არგუმენტებით ახსნა;[78]

მართლმსაჯულების სისტემის, როგორც ცოცხალი ორგანოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს ძალადობის მსხვერპლ ქალს აღდგენილ იქნეს დარღვეულ უფლებაში, მიეცეს მის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას სამართლიანი და კანონიერი კვალიფიკაცია, მიეცეს საშუალება სრულად დაიცვას თავი და წარმოადგინოს მოძალადის მიმართ არსებული ყველა არგუმენტი თუ მტკიცებულება. ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევებში უნდა შეფასდეს გამომძიებლის და მოსამართლის მხრიდან, უარის თქმის მოტივი, ხომ არ არის აღნიშნული განპირობებული ეკონომიკური რესურსების გარეშე დარჩენის ან მოძალადის შემდგომი შურისძიების შიშით.

ძალადობის მსხვერპლი ქალი ხშირად უარს ამბობს მიმართოს საგამოძიებო ორგანოს ძალადობის ფაქტის დაფიქსირების მიზნით, აღნიშნულს ხშირად განაპირობებს როგორც თავად მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიაზიის შიში, ასევე საზოგადოების მხრიდან მსხვერპლი ქალების მიუღებლობა მისი სტატუსის გამო. შესაბამისად, ხშირად მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ძალადობა მსხვერპლის თვითმკვლელობის მიზეზიც კი ხდება. 2021 წელს ქობულეთში მომხდარი თვითმკვლელობის ფაქტი სწორედ ამ თეორიის ერთ-ერთი ტრაგიკული მაგალითია. აღნიშნული ფაქტი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო მოწოდების მიზეზი. მათი განმარტებით, აშკარად იკვეთებოდა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის დარღვევა, რაც საქართველოში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ამგვარ დანაშაულებზე მართლმსაჯულება ხშირ შემთხვევაში, მოძველებული, დისკრიმინაციული მიდგომებით და გენდერული დანაშაულებისთვის შეუსაბამო მეთოდოლოგიით მიმდინარეობს[79], რაც სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერს წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს მიერ 2020 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით, მიუხედავად სექსუალური ძალადობის გავრცელებისა, კვლავ დაბალია მასზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებისა და ამ შემთხვევებზე მართლმსაჯულების განხორციელების მაჩვენებელი. "კვლევის პერიოდში

---

[78] ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე. თბილისი, 2019, 57-58

[79] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, რომლითაც სამოქალაქო ორგანიზაციები ქობულეთში 14 წლის მოზარდის თვითმკვლელობის საქმეს ეხმიანებიან, 2021 < https://bit.ly/3qnWD6e> [19.02.2022]

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცხელ ხაზზე („112“) 316 შეტყობინება დაფიქსირდა სრულწლოვანი ქალის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ. იმავე პერიოდში პირს გამამტყუნებელი განაჩენი სექსუალური ძალადობისთვის მხოლოდ 20 შემთხვევაში შეეფარდა.”[80]

სამართლებრივ პრაქტიკაში გვხვდება საქმეები, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელების დაბრკოლებად გვევლინება მოძალადის სტატუსი საზოგადოებაში ან მისი სამსახურეობრივი მდგომარეობა, რაც მსხვერპლს აფიქრებინებს, რომ ძალადობის ფაქტის გაცხადების შემთხვევაში მოძალადე დაუსჯელი გახდება, ხოლო აღნიშნული შესაძლოა გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს მოძალადისთვის და ჩავარდეს მეტად უფრო საფრთხის შემცველ მდგომარეობაში.

სახელმწიფოს მარცხი დაიცვას ქალი ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას კანონის წინაშე თანაბრად იყვნენ დაცულები და რომ ეს მარცხი არ არის აუცილებელი რომ იყოს განზრახი. ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ „ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა (კლიმატის შექმნა), რომელიც ხელსაყრელია ოჯახში ძალადობისთვის“ წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას. ასეთი დისკრიმინაციული მოპყრობაა, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები არ იყო უბრალო მარცხი ან შეფერხება სადავო ძალადობის განხილვისას, არამედ წარმოადგენდა ასეთი ძალადობის არაერთგზის გამართლებას და ასახავდა მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი ქმედება, განსაკუთებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ჩატარდეს კანონის დაცვით და მიუკერძოებლად, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა განუწყვეტლივ განმეორდეს საზოგადოების მხრიდან ამგვარი ქმედების დაგმობა და მხარი დაუჭიროს უმცირესობათა ჯგუფის ნდობას ხელისუფლების ორგანოების მიმართ, რომ ისინი დაიცავენ მათ დისკრიმინაციული ძალადობისგან. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სამართლებრივმა სისტემებმა გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები სისხლის სამართლის კანონის აღსრულებისათვის ამგვარი ძალადობრივი ქმედებების ჩამდენთა წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრი მიდგომის გარეშე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აუცილებლად განიხილებოდა როგორც რიგითი დანაშაული, ხოლო შედეგად მიღებული გულგრილობა

[80] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება რომლითაც სამოქალაქო ორგანიზაციები ქობულეთში 14 წლის მოზარდის თვითმკვლელობის უმძიმეს საქმეს ეხმიანებიან 2021 წელი. < https://bit.ly/3qnWD6e> [19.02.2022]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებით ოფიციალური თანხმობის ან თუნდაც წაქეზების ტოლფასია.[81]

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, ოჯახური ძალადობის შემთხვევებისას საფრთხის რეალურობის არასათანადოდ შეფასება, მოძალადის პიროვნული თვისებებისა და იარაღზე მისი წვდომის ფაქტის არარად მიჩნევა, ასევე არაერთგზის მიმართვიანობა მსხვერპლის მიერ წარმოადგენს სისტემურ პრობლემას, სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობას, რომელიც კიდევ უფრო უპატიებელი ჩანს, როდესაც ფასდება იმ ფონზე, რომ ზოგადად ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, მიჩნეულია მთავარ სისტემურ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალდნენ ძირითადად ქალები, რომლებიც მსხვერპლთა დაახლოებით 87%-ს შეადგენენ. რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო მონიტორინგის ორგანომ, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, დაადასტურა საზოგადოებაში არსებული ეს გამოწვევა და განაცხადეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები უკავშირდება, სხვებს შორის, დისკრიმინაციულ გენდერულ სტერეოტიპებსა და პატრიარქალურ დამოკიდებულებებს, რასაც თან ახლავს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული გულმოდგინების ნაკლებობა. შესაბამისად, პასუხისმგებელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა სიტუაციის სიმძიმე, რომელიც ქვეყანაში ბევრ ქალს ეხებოდა და შესაბამისად, უნდა გამოემჟღავნებინა განსაკუთრებული გულმოდგინება და გაეზარდა სახელმწიფო დაცვა ამ ჯგუფის მოწყვლადი წევრებისთვის.[82]

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისადმი მიდგომები ხშირად სწორედ საგამოძიებო ორგანოების ეტაპიდანვე დისკრიმინაციულია; დამოკიდებულებები განპირობებულია გენდერული სტერეოტიპებით გაჯერებული არასერიოზული მიდგომებით და უპატიებელი გულგრილობით. აღნიშნული შესაძლოა მსხვერპლისთვის ფატალური შედეგის დადგომის ერთ-ერთი მიზეზი გახდეს.

---

[81] თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5273734?publication=0 [18.02.2022] a, 51
მოცემული საქმე პრეცედენტული მნიშვნელობისაა, რამდენადაც წარმოადგენს ფემიციდის საკითხზე პირველ გადაწყვეტილებას საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც იმსჯელა და დარღვევები დაადგინა სტრასბურგის სასამართლომ. გარდა ამისა, მოცემული საქმე სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში პირველია, როდესაც ოჯახურ დანაშაულზე დისკრიმინაცია დადგინდა სიცოცხლის უფლების დარღვევის როგორც მატერიალურ, ისე პროცედურულ ნაწილთან მიმართებითაც. ავტ.

[82] იქვე b, 56

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალის საქმეზე, საქართველომ ვერ უზრუნველყო გამოძიება და სამართლებრივი დევნა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით და ღირსების სახელით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც სასტიკად სცემეს ოჯახის წევრებმა მცირეწლოვანი შვილების თვალწინ, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. გაეროს ქალთა უფლებების კომიტეტმა დაადგინა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო ეფექტური დაცვა და არ მიიღო ყველა შესაბამისი ზომა ჯეირანოვას მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. მან ასევე დაასკვნა, რომ საქართველომ დაარღვია ვალდებულება გამოიძიოს და დასაჯოს მსხვერპლზე თავდასხმისა და მის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირები. ქალბატონი ჯეირანოვა გახდა ეთნიკურ კუთვნილებასთან და პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ინტერსექციული დისკრიმინაციის მსხვერპლი". კომიტეტმა დაადგინა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო ხანუმ ჯეირანოვას სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვა და არ იქნა მიღებული ყველა შესაბამისი ზომა მის მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. მსჯელობის შედეგად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ საქართველომ დაარღვია ვალდებულება, გამოიძია და დაესაჯა მსხვერპლზე თავდასხმასა და მის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი პირები.[83]

ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულმა საკანონმდებლო ჩარჩომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საკითხების ფართოდ გათვალისწინებით, განსაკუთრებით, ამგვარ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, მსხვერპლის დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით. 2017 წელს საქართველომ განახორციელა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და მიიღო ზომები საქართველოს კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამჟამად კანონმდებლობა განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას და ითვალისწინებს ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმებს. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არსებითი გამოწვევები რჩება სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიციასთან მიმართებით. ამგვარ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში, მოძველებული, დისკრიმინაციული მიდგომებით და

[83] CEDAW-ის 2021 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე: https://bit.ly/3wFCj4U [19.02.2022]

გენდერული დანაშაულებისთვის შეუსაბამო მეთოდოლოგიით ხდება, რაც სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერს წარმოადგენს.[84]

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების განხილვისას, წინამდებარე თავში გამოიკვეთა მნიშნელოვანი ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან. დაზარალებული ქალის უარი - მისცეს ჩვენება მოძალადის წინააღმდეგ, ხშირად სახელმწიფოს ძალადობის წინააღმდეგ მის ხელთ არსებული ერთადერთი მტკიცებულებების გარეშე ტოვებს, რაც მოძალადის გამართლების საფუძველიც შეიძლება გახდეს. აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მსხვერპლი თავად იწვევს ამ შედეგს მისი ნებაყოფლობით, აღნიშნულის განმაპირობებელი ფაქტორები და მიზეზები შესაძლოა თავად ძალადობის ბუნებიდან და მოძალადის მიმართ მოსალოდნელი შურისძიების შიშისგან გამომდინარეობდეს. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთა და პრევენცია დღემდე გამოწვევად. მასთან ბრძოლისას მხოლოდ კანონის ცოდნა და კანონის მოქმედება საკმარისი არ არის, და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას, მათ შორის სუბიექტური გარემოებების შესწავლას და შეფასებას მოითხოვს. ამასთან გამოიკვეთა ქმედების არასწორი კვალიფიკაციის (გენდერული ნიშნის არ ქონა) და არაეფექტიანი გამოძიების (უგულვებელყოფა) საკითხები. სწორად წარდგენილი ბრალდება, სახელმწიფო მბრალდებლის მიერ, კარგად დასაბუთებული სასამართლოს განაჩენი, სადაც დანაშაულის სიმძიმე სათანადოდ, კომპეტენტურად და კანონის საფუძველზე არის შეფასებული, უზრუნველყოფს არა მხოლოდ მსხვერპლისთვის მართლმსაჯულების აღსრულებას, არამედ ასევე არის გზავნილი მთლიანად საზოგადოებისთვის, რომ სექსუალური ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ქალის უფლებების მძიმე დარღვევაა და ამ სახის დანაშაულისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება დაუშვებელია. გამოძიების ორგანოების

[84] ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის თანახმად (2017, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ევროკავშირი), 15-64 წლის ქალების რიცხვი, რომლებსაც ოდესმე ჰყოლიათ პარტნიორი და განაცხადეს, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე განუცდიათ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, არის დაახლოებით 4,000 (0,4%); ცხოვრების მანძილზე სექსუალური პატნიორისგან ძალადობა განუცდია დაახლოებით 24,450 ქალს (2.3 %). ჯამში ქალების 26%-მა (346,510 ქალი) განაცხადა, რომ ცხოვრების მანძილზე განუცდია სექსუალური ძალადობა ან/და სექსუალური შევიწროება არაპარტნიორისგან, ასევე სექსუალური ძალადობა ბავშვობის ასაკში. იმ ქალებიდან, რომელთაც აღნიშნეს, რომ განუცდიათ ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობა ან პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, მხოლოდ 26%-მა განაცხადა, რომ მიმართა რომელიმე ორგანოს ან მხარდაჭერის სერვისს დახმარებისთვის, საიდანაც მხოლოდ 18%-ს მიუმართავს პოლიციისთვის., გვ. 41; 49; 55 და 85. <https://www.geostat. ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG> [19.02.2022]

მხრიდან განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების არ ქონა, ხშირად მსხვერპლის დემოტივაციას იწვევს, ასუსტებს ნდობას სახელმწიფო ორგანოების მიმართ, რაც ძალადობის განგრძობით ხასიათის წახალისებას უწყობს ხელს, აღნიშნული კი ხშირად საბედისწერო აღმოჩნდება ხოლმე მსხვერპლისთვის.

თავი 4

დაცვის ეფექტიანი საშუალებებით უზრუნველყოფა და კანონის აღსრულებადობა როგორც ქალთა მიერ ხელმისაწვდომობის უფლებით სარგებლობის გარანტია

4.1 დაცვის ეფექტიანი საშუალებები

მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემებმა ეფექტიანად და რეალურად უზრუნველყონ ქალების დაცვასა და აღდგენა უფლებებში, მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ენიჭება დაცვის მოთხოვნებისა და დაცვის განკარგულებების დაუყოვნებლივი ამოქმედებას და მის შესრულებაზე სახელმწიფო ორგანოთა შესაბამისი უფლებამოსილის პირების კონტროლის მექანიზმებს.

ქალთა მიმართ ძალადობა არ არის ახალი ფენომენი. არც მისი უარყოფითი შედეგებია უცნობი ქალის ფიზიკურ, ფსიქიკურ მდგომარეობაზე და რეპროდუქციული ჯანმრთელობაზე. რაც ახალია არის მზარდი აღიარება, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აქტები არ არის ზოლირებული მოვლენები, არამედ ქმნიან ქცევის ნიმუშს, რომელიც არღვევს ქალთა და გოგონების უფლებებს, ზღუდავს მათ საზოგადოებაში მონაწილეობას და ზიანს აყენებს მათ მენტალურ, ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. [85]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ევროპული კომიტეტის რეკომენდაციაა სახელმწიფოებმა შეიმუშაონ და აამოქმედონ დროული და ადეკვატური ზომები ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევებისთვის. სახელმწიფოების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ წვდომა ყველა არსებულ სასამართლო და არასამართლებრივი დაცვის საშუალებებზე. მნიშნელოვანია, რომ საშუალებები იყოს ადეკვატური,

[85] World Health Organization. (2013). Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence, 1

ეფექტიანი, დაუყონებლივ მინიჭებული, ჰოლისტიკური და მიყენებული ზიანის სიმძიმის პროპორციული. [86]

დაცვის ეფექტიანი საშუალებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ მართლმსაჯულების განხორციელების რა ეტაპზეა მათი გამოყენების საჭიროება. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა გულისხმობდეს, რესტიტუციას_სამოქალაქო უფლებების დარღვევის დადგენისას, კომპენსაციას_სამოქალაქო და სისხლისამართლებრივი შინაარსის დანაშაულებებისას. მნიშვნელოვანია რეაბილიტაცია, როგორც დაცვის საშუალება რომელიც გამოიყენება სამედიცნო, ფსიქოლოგიური, სოციალური დახმარებების გზით, როდესაც საკითხი ეხება ქალთა მიმართ ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს. სამოქალაქო ზიანის ანაზღაურების საშუალებები და სისხლის სამართლის სანქციები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი. დაცვის ღონისძიებები მიემართება ქალთა დარღვეული უფლების აღდგენის საჭიროებებს და მათი გამოყენება უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის შესაბამისად. ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შედეგების რეაბილიტაცია ხანგრძლივი და კომპლექსური საკითხია. რეაბილიტაცია სახელმწიფოს ვალდებულებაა, იმდენად, რამდენადაც თავად ევალება ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღკვეთა. გარდა მატერიალურ-სოციალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფისა, კანონმდებელმა უარი თქვას ამნისტიაზე გენდერული უფლებების შესახებ ისეთი დარღვევების შემთხვევებში, როგორიცაა ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ხანდაზმულობის უარყოფა ადამიანის უფლებების ასეთი დარღვევის დევნაში.[87] მოძალადის რეაბილიტაცია არ უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის დანიშვნის მიზანი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით აღიარებული და დადგენილია, რომ ეფექტიანი დაცვის საშუალებების უფლება ითვალისწინებს ყველა შესაძლო სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. რომელიც შესაძლოა მოიცავდეს კომპენსაციას სისხლის სამართლის საქმეებში. სტამბულის კონვენცია მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, მოძალადისთვის მიკუთვნებული სასჯელის პარალელურად, დაზარალებული მსხვერპლი ქალისთვის ხელმისაწვდომი გახადონ სამოქალაქო-სოციალური დაცვის საშუალებები. მათ შორის მნიშვნელოვანია საკმარისი რაოდენობის შესაფერისი და იოლად ხელმისაწვდომი თავშესაფრების საკითხი. მსხვერპლისთვის,

[86] CEDAW ზოგადი რეკომენდაცია 35 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf [18.02.2022]

[87] CEDAW General Recommendation No. 33 on women's access to justice. 15

განსაკუთრებით, ქალებისა და მათი შვილებისთვის, უსაფრთხო საცხოვრებლის შეთავაზება და საკუთარი ინიციატივით, მათთან ურთიერთობის დამყარება [88]წარმოადგენს არასამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან და აუცილებელ მექანიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლი თითოეული ქალისთვის გამოცდილება განსხვავებულია, ძალადობა თითქმის ყოველთვის ცხოვრების შემცვლელი გამოცდილებაა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელ უნარზე. ძალადობა ფართოდ არის აღიარებული, როგორც არაჯანსაღი ქცევების კატალიზატორი. ძალადობის შემდგომი დაავადებები მოიცავს დეპრესიას, შფოთვასა და სუიციდისადმი მიდრეკილებას, ალკოჰოლიზმი, პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომები. [89]ძალადობისგან განკურნება მხოლოდ სამართლებრივი დასჯის საფუძელი არ არის, უფლებების აღდგენას, დანაკარგების შემსუბუქებას სჭირდება სხვადასხვა სოციალურ და სამართლებრივ ინსტიტუტთა კოორდინირებული მოქმედება.

4.2 მართლმსაჯულების აღსრულების საკითხები

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება აღქმულ უნდა იქნეს როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი[90] კარგი ხარისხის მართლმსაჯულების სისტემის უმთავრესი ელემენტია (რაც ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ ელემენტსაც წარმოადგენს) რომ ის არა მხოლოდ ადგენს ზომების მიღებას, არამედ ახორციელებს მას.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება იწვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას. აღნიშნული თავისთავში მოიაზრებს იდეას, რომლის თანახმად აღუსრულებელი გადაწყვეტილება ამ გადაწყვეტილების არ არსებობას უთანაბრდება. სახელმწიფო ვალდებულია, განმცხადებელს გარანტია მისცეს, რომ სათანადოდ აღსრულდება ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული

[88] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია მუხლები 23-25

[89] Webb, R. A. (2010, August). Women and domestic violence: implications for social work intervention. Retrieved from National association of social workers. 2
< Practice Update (socialworkers.org)>

[90] Assanidzev. Georgia, § 181 < https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-61875%22]}> [19.02.2022]

გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ განმცხადებელი აღარ არის მსხვერპლი. როდესაც ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის ან სხვა მიზეზით არ ხდება დარღვევის აღიარება და უფლებაში აღდგენა (შესაძლოა შეუძლებელი იქნეს პირვანდელი მდგომარეობის სრულად აღდგენა ფსიქო-ემოციური გამოცდილების, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევებში) ეს ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები არა რეალური, არამედ მოჩვენებითია.[91]

დასკვნა

მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობა მოიცავს მართლმსაჯულების მთლიან ჯაჭვზე, მის ყველა სისტემაზე ქალთა შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას. მართლმსაჯულების სისტემისა და ორგანოების კონცეფციის ჩამოყალიბების მიზანი არის განსაზღვრულობა, თუ რომელ საფეხურზე რა უშლის ქალებს ხელს უფლების განხორციელებაში. მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები, რომელიც განხილულია წინამდებარე ნაშრომში, მოიაზრებს საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს, სასამართლო სისტემას, ასევე სახელმწიფო და არასახელმწიფო სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ასევე, სერვისები, რომლებიც შესაძლოა არ ხორციელდებოდეს სახელმწიფო ორგანოების საშუალებით: იურიდიული დახმარება, სოციალური გარანტიები, ფსიქოლოგიური დახმარება, თავშესაფრით უზრუნველყოფა- წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ ქალთა თანასწორი შესაძლებლობებისთვის.

საკანონმდებლო ჩარჩოს გამოყენებისა და კანონის განხორციელების ჭრილში, ნაშრომში განხილული იქნა მგრძნობიარე მიდგომების ორი ასპექტი, ერთი როგორც სტერეოტიპული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ობიექტურ სამართალწარმოებას და მეორე, დადებითი კონტექსტის მატარებელი, პოზიტიური მიდგომები, რომელიც ხელს უწყობს ქალთა მიერ უფლებების თანაბრად და ეფექტიანად სარგებლობას.

ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომის გზაზე არსებული გამოწვევები ეხმიანება გენდერულ ხარვეზებს მართლმსაჯულების განხორციელებაში, სტერეოტიპებისა და მეორეული ვიქტიმიზაციის გავლენით წარმოქმნილ

[91] GARCÍA MATEOS v. SPAIN 24 < https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-116985> [19.02.2022]

დამატებით ბარიერებს და სათანადო სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობას.

ნაშრომში გაანალიზებულია, რომ ბარიერები, რომლებიც მიიჩნევა ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომის ხელშემშლელ ფაქტორებად, ზოგიერთ შემთხვევაში, ქალებზე მეტად ზემოქმედებენ, საზოგადოებაში მათი ფუნქციებისა და როლების გამო. სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ფაქტორების შედეგად შექმნილი ბარიერების გარდა, არსებობს უნიკალური გამოწვევები, რომელთა მოგვარების გზები მეტად სუბიექტურია და სწორედ თითოეული მართლმსაჯულების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის აღქმადობაზე და შთაბეჭდილებებით ინსპირირებულ ქცევაზეა დამოკიდებული. ამგვარ ბარიერებს ქმნიან სტერეოტიპები, სტიგმები, საზოგადოებაში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა და მეორეული ვიქტიმიზაციის გავლენით წარმოქმნილი დამატებითი ბარიერები. ქალთა უფლებების დაცვას, ისევე როგორც ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთასა და მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობას ერთი ფუნდამენტური ღირებულება უდევს საფუძვლად - ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერება პირდაპირ არის დაკავშირებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრასთან. სწორედ ამიტომ, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ქალთა როლის გაძლიერებისთვის თავის დადებით ეფექტს მოიტანს ყველა სფეროში, სადაც მივიჩნევთ, რომ გენდერული დისბალანსი უფლების დარღვევის საფუძველია.

განხილული პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რომ გენდერული სტერეოტიპები შეინიშნება კანონის ყველა სფეროში, მაგრამ ისინი განსაკუთრებით გავრცელებულია გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ შემთხვევებში. გენდერული სტერეოტიპები ხშირად საფუძველია ქალთა მიმართ ძალადობის განხორციელების. ქალთა მიმართ ძალადობა ერთი მხრივ არის ბარიერი, რომელიც ქალებს ხელს უშლის წვდომა ჰქონდეთ სასამართლო, საგამოძიებო ორგანოებსა და სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებზე, ხოლო მეორეს მხრივ თავად შესაძლოა გახდეს ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომის შეზღუდვის შედეგი. სწორედ ამიტომ, სტერეოტიპული მიდგომები, როგორც ბარიერები, განსაკუთრებით საზიანოა, რადგან მათ შეუძლიათ დაამახინჯონ იურისტების აღქმა ისეთ დანაშაულებებთან დაკავშირებით, როგორიცაა გაუპატიურება, ფემიციდი, ოჯახში ძალადობა და შედეგად გამოწვიონ კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია და გენდერული ნიშნის გამოკვეთა ბრალდებაში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი და უმთავრესი ელემენტია. რომლის გარეშეც, მართლმსაჯულებაზე წვდომა სრულყოფილი და ეფექტიანი ვერ იქნება.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება და საკანონმდებლო ნორმები უმთავრეს როლს ასრულებენ მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. თუმცა ხშირად, პოზიტიური გაგებით, გენდერული მიდგომები, ხელს უწყობს ქალთა საჭიროებებზე მორგებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების რეალიზებას.

ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომისას, ბარიერების აღმოსაფხვრელად და უარყოფითი გავლენების შესამცირებლად, მნიშნელოვანია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომი ორგანოების ანგარიშვალდებულება, აღსრულების მექანიზმების რეალური მუშაობა და მართლმსაჯულების კარგი ხარისხი. მართლმსაჯულების კარგი ხარისხი კი სხვა ელემენტებთან ერთად, სწორედ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს მოიცავს. გარდა ამისა, უზრუნველყოფს მართლმსაჯულებაში ჩართული სისტემების ეფექტიანად , კოორდინირებულად მუშაობის სპეციფიკას, რომელიც განმსჭვალულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით და ეფუძნება ფუნდამენტურ ღირებულებებს.

ნაშრომში მოყვანილი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, აღიარებენ ქალთა მართლმსაჯულებაზე წვდომას, როგორც სახელმწიფოთა ეროვნული სამართლის მნიშვნელოვან, პრიორიტეტულ ნაწილს. ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, ის ერთადერთი, უნიკალური და ექსკლუზიური უფლებაა, საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის, რომელიც არა მხოლოდ თავად არის დაცვის ღირსი უფლებრივი სიკეთე, არამედ, სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება. სწორედ მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის უფლების დაცულობის ხარისხი განსაზღვრავს, ეროვნულ დონეზე, ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების რიცხვს, სახელმიწფოს მიერ შესრულებული პოზიტიური ვალდებულებების ხარისხს და მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემების ეფექტიანობას.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,
3. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი
4. საქართველოს პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი
5. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020
6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
7. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
8. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია
9. ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2021
10. Preventing and combating domesic violence against women. A learning resource for training law-enforcement and justice officers (CoE), 2016.< https://rm.coe.int/16805970c1>
11. Guidelines for Producing Statistics on Violence against Women Statistical Surveys, United Nations New York, 2014 < https://unstats.un.org/unsd/gender/docs/Guidelines_Statistics_VAW.pdf>
12. CEDAW General Recommendation No. 33 on women’s access to justice
13. Legal Needs Surveys and Access to Justice, Open Society Foundations, OECD Publishing, 2019
14. Facchi, Alessandra, Traditional Local Justice, Women's Rights, and the Rule of Law: A Pluralistic Framework (June 2019). Ratio Juris, Vol. 32, 210, 2019, http://dx.doi.org/10.1111/raju.12235

15. Global and regional estimates of violence against women: prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence, World Health Organization. (2013). https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85239/9789241564625_eng.pdf;jsessionid=71CF1224A9DC540DA9F1E48FD55E84DF?sequence=1

16. ლობჟანიძე გ., ადამიანის უფლებათა სამართალი, გამომცემელი: ინოვაცია, თბილისი, 2005,

17. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგია, 2021

18. გობრონიძე მ., გერლიანი თ.,პაპუაშვილი ა., მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, თბილისი, 2021

19. ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, 2018

20. კომენტარები სტამბულის კონვენციის დებულებებთან მიმართებით, ევროპის საბჭო, < https://bit.ly/2QbHokk

21. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის #761 კანონის განმარტებითი ბარათი; < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/142308?

22. CEDAW General Recommendation N35 gender-based violence against women, updating General Recommendation No. 19 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/convention%20on%20elimination%20of%20violence.pdf

23. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, მარინა მაისურაძის თარგმანი, მეცნიერული რედაქცია და წინათქმა თევდორე ნინიძისა, თბილისი, 2003;

24. სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ;
25. Tulkens F., Human rights, rights of women Female applicants to the European Court of Human Rights 2007; https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680597b21
26. საქართველოში ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ბარიერები, დაცვის საშუალებები და კარგი პრაქტიკა (SPDP), ევროპის საბჭო, 2017, დაბეჭდილია ევროპის საბჭოს მიერ;
27. OHCHR, Eliminating judicial stereotyping: Equal access to justice for women in gender-based violence cases, 2014;
28. Webb, R. A. (2010, August). Women and domestic violence: implications for social work intervention. Retrieved from National association of social workers. < Practice Update (socialworkers.org)>
29. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის ცენტრი, თბილისი, 2017; http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-standartebis-asaxva-ojaxshi-zaladobissaqmeebshi.pdf

სასამართლო პრაქტიკა

30. Richert v. Poland, app. №54809/07
31. Lavents v. Latvia, app. №58442/00, (ECtHR, 28.11.2002)
32. Kontalexis v. Greece, app. №29321/13
33. Richert v. Poland, app. №54809/07, (ECtHR, 25.10.2011)
34. Lavents v. Latvia, app. №58442/00, (ECtHR, 28.11.2002)

35. Kontalexis v. Greece, app. №29321/13

36. Konstantin Markin v. Russia, Grand Chamber judgment of 22 March 2012

37. GARCÍA MATEOS v. SPAIN < https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-116985>

38. Assanidze v. Georgia, < https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-61875%22]}>

39. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ. N3/3409-19;

40. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი პოლიტიკური ცენტრი", ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

43. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

44. საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე;

45. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
46. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
47. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;